პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 291 (19732) შაბათი, 20 დეკემბერი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

შრომის ნაყოფიერების გაძლიერების გზით

სამტრედიის რაიონის 1987 წლის სოციალისტური ვალდებულებები

სამტრედიის რაიონის მშრომელებმა 1987 წლისათვის იკისრეს შემდეგი სოციალისტური ვალდებულებანი:

მრეწველობაში მთლიანი პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის გეგმები შეასრულონ 25 დეკემბრისათვის, გეგმის გადამეტებით გამოუშვან 3 მილიონი მანეთის პროდუქცია, შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით გაზარდონ 1-1,5 პროცენტით. პროდუქციის თვითღირებულება შეამცირონ 0,7-1 პროცენტით. დაზოგონ 2,5 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 200 კუბური მეტრი ხე-ტყე, 70 ტონა ცემენტი, 40 ტონა ლითონი.

მარცვლეულის საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა გაზარდონ 27 ცენტნერამდე. ბოსტნეულისა — 130 ცენტნერამდე. სახელმწიფოს მიაყიდონ 3200 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 1300 ტონა მარცვლეული, 15 500 ტონა ბოსტნეული, 2000 ტონა ყურძენი, 2800 ტონა ხორცი, 4500 ტონა რძე, 48 ტონა აბრეშუმის პარკი და სხვ.

ერთ საფურაჟე ძროხაზე საშუალოდ მიიღონ 2020 კილოგრამი რძე. ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების შრომითი კოლექტივები 30 დეკემბრისათვის შეასრულებენ სახელმწიფო გეგმას და გეგმის გადამეტებით გადაზიდავენ 100 ათას ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთს. დაზოგავენ 2,5 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას, 130 ტონა თხევად საწვავს, 20 ტონა ლითონს, 120 ტონა ცემენტს, 125 კუბურ მეტრ ხე-ტყეს, 20 ტონა ბენზინს, 2 დღეს იმუშავებენ დაზოგილი მასალებისა და ენერგიის რესურსებით. რაიონალიზატორული წინადადებების დანერგვით მიიღებენ 900 ათას მანეთ ეკონომიას.

ავტოსატრანსპორტო საწარმოთა კოლექტივები ტვირთნიდვისა და მგზავრთა გადაყვანის წლიურ გეგმას შეასრულებენ 25 დეკემბრისათვის, გეგმის გადამეტებით გადაზიდავენ 25 ათას ტონა ტვირთს და გადაიყვანენ 50 ათას მგზავრს, დაზოგავენ 50 ტონა საწვავს.

სამშენებლო-სამონტაჟო და სარემონტო სამუშაოების გეგმას შეასრულებენ 31 დეკემბრისათვის. [illegible] ბებენ. დაზოგავენ 110 კუბურ მეტრ ხე-ტყეს, 125 ტონა ცემენტს, 20 ტონა ლითონს, სამუშაოთა ღირებულებას შეამცირებენ 200 ათასი მანეთით.

სავაჭრო ორგანიზაციები მოსახლეობას მიაყიდიან 82 მილიონი მანეთის საქონელს, წლიურ გეგმას შეასრულებენ 28 დეკემბრისათვის.

მოსახლეობას გეგმის გადაჭარბებით გაუწევენ 20 ათასი მანეთის მომსახურებას, წლიურ გეგმას შეასრულებენ 29 დეკემბრისათვის.

დიდი ჯიხაიშისა და კულაშის საშუალო სკოლების შენობებს საშეფო წესით მიაშენებენ 20 ოთახს, დაიწყება ღანირის საშუალო სკოლის მშენებლობა. ქალაქის № 2 საშუალო სკოლაში აშენდება სასკოლო საწარმოო უბანი. გომის საშუალო სკოლაში დამთავრდება საწარმოო სწავლების ახალი კაპიტალური შენობის მშენებლობა. მოამზადებენ ერთ სსრ კავშირის სპორტის ოსტატს, 25 სსრ კავშირის სპორტის ოსტატობის კანდიდატს, 15 საქართველოს სსრ სპორტის ოსტატს, 130 პირველთანრიგოსანს, 7000 თანრიგოსან სპორტსმენს, 8500 მშთ ნიშნოსანს. რაიონის სპორტულ ბაზებზე სისტემატურად ივარჯიშებს 14000 კაცი.

სოციალისტური ვალდებულებანი დამტკიცებულია შრომითს კოლექტივებში.

(საქინფორმი).

ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲞᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ ᲛᲝᲒᲕᲙᲘᲗᲮᲐᲕᲡ

ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲓᲐᲐᲭᲐᲠᲑᲔᲡ

ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ, ერთი თვით ადრე შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის სახელმწიფო გეგმა ვანის საკონსერვო ქარხნის კოლექტივმა. მომხმარებელს ვალდებულებით ნაკისრი 4.700 ათასი მანეთის ნაცვლად 5.404 ათასი მანეთის პროდუქცია გაეგზავნა. დამზადდა 2.709 ათასი პირობითი ქილით მეტი კონსერვი, ვიდრე ამას წლიური ვალდებულება ითვალისწინებდა. თითოეულ მუშაზე 31.411 მანეთის პროდუქცია მოდის, ვალდებულებით კი 25.405 მანეთისას ვარაუდობდნენ. 23 პროცენტით იმატა შრომის ნაყოფიერებამ, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით 34 ათასი მანეთი დაიზოგა. მოგების გეგმა 103,4 პროცენტით შესრულდა. მომზადდა მყარი ნიადაგი იმისათვის, რომ საწარმო მომავალი წლიდან მთლიანად გადავიდეს სამეურნეო ანგარიშზე. ესოდენ დიდი წარმატება გაბაპირობა პროდუქციის ხარისხისათვის შეუნელებელმა ბრძოლამ, ახლახან შეძენილი თანამედროვე ტექნიკის გონივრულმა გამოყენებამ.

ქარხნის პროდუქცია ძალიან მოსწონს მომხმარებელს. ამას საწარმოს დირექციას სწერენ ჩელიაბინსკიდან, ყაზანიდან, ულიანოვსკიდან, რუსეთის ფედერაციის სხვა დიდი ქალაქებიდან. უწყვეტ ნაკადად მოდის შეკვეთები აქაურ ნაწარმზე.

ვანელ მეკონსერვეთა გადაწყვეტილებაა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისათვის შეასრულონ მეთორმეტე ხუთწლედის ორი წლის დავალება.

წლის დამლევამდე მეკონსერვეები გეგმის გადამეტებით კიდევ მიაწვდიან მომხმარებელს სულ ცოტა 300 ათასი მანეთის პროდუქციას.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲛᲪᲘᲠᲔᲠᲘᲪᲮᲝᲕᲐᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲬᲕᲐᲕᲘ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲤᲐᲠᲗᲝ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲣᲠᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐᲡ. ᲘᲒᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲒᲔᲑᲓᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲞᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ ᲛᲝᲒᲕᲙᲘᲗᲮᲐᲕᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 291 (19732) ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 20 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1986 ᲬᲚᲘ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲛᲪᲘᲠᲔᲠᲘᲪᲮᲝᲕᲐᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ

3 ᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓᲘ პარტიული ორგანიზაცია, როგორც შრომითი კოლექტივის პოლიტიკური ბირთვი, აქტიურად უნდა უწყობდეს ხელს მისი ფართო კონსტიტუციური უფლებების რეალიზაციას. იგი პასუხს აგებს პარტიის წინაშე შრომითი კოლექტივის საქმიანობისა და განვითარების ყველა მხარისათვის, მასში ჯანსაღი მორალურ-პოლიტიკური კლიმატის შექმნისათვის, საერთო საქმეში წვლილისათვის.

სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული პროგრამის განხორციელებაში დიდ ამოცანებს წყვეტენ შედარებით პატარა, მცირერიცხოვანი პირველადი პარტიული ორგანიზაციები. და ეს მუნეგრიოვიცია, ვინაიდან რესპუბლიკის პირველადი პარტიული ორგანიზაციებიდან ნახევარზე მეტი სწორედ მცირერიცხოვანი პარტიული ორგანიზაციაა, სადაც გაერთიანებულია 61 ათასზე მეტი კომუნისტი. ეს კი მეტად დიდი ძალაა და ისინი, უწინარეს ყოვლისა, უშუალოდ მოქმედებენ ადამიანის აღზრდა-ჩამოყალიბებაზე. მცირერიცხოვანი პარტიული ორგანიზაციის კომუნისტებს მუშაობა უნდებათ უმთავრესად სასწავლებლებში, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში, ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს საწარმოებში. მცირერიცხოვანი პარტიული რგოლებია ავრეთვე ადმინისტრაციულ ორგანოებში, სახალხო მეურნეობის დარგებსა და განშტოებებში და სხვაგან. მაგრამ აქ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პირველადს პარტიულ ორგანიზაციას მცირერიცხოვნობა როდი უშლის ხელს დიდი და პასუხსაგები ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში. პირიქით, შრომითს კოლექტივებზე ზემოქმედებისათვის როგორც საზოგადოდ ყველა პირველადს რგოლს, ისე მცირერიცხოვან პარტიულ ორგანიზაციასაც დიდი შესაძლებლობანი აქვთ, ვინაიდან ისინი თავიანთ რიგებში აერთიანებენ კოლექტივების ყველაზე შეგნებულ ნაწილს, აქტიურ, ავტორიტეტიან და სანდო, ერთიანი მიზნითა და მსოფლმხედველობით, ერთიანი მოქმედებით შეკავშირებულ ადამიანებს, სკკპ წესდების შესაბამისად მათ მინიჭებული აქვთ ფართო უფლებამოსილებანი პარტიის პოლიტიკის განხორციელებაში. ერთი სიტყვით, დიდ პარტიულ ბირთვში მცირერიცხოვან პირველადს პარტიულ ორგანიზაციას ყოველთვის აქვს თავისი კონკრეტული ფუნქცია და ამოცანა. თუმცა ზოგჯერ პრაქტიკაში ვხვდებით მცირერიცხოვანი ორგანიზაციების მექანიკური შეერთების გზით გამსხვილების დაუსაბუთებელ ცდებს. ასეთი ცდები ყოველად შეუწყნარებელია, ვინაიდან, როგორც ცხოვრება გვიჩვენებს, ამ საკითხებში მოუფიქრებელი გადაწყვეტილებები აშკარად ასუსტებს პარტიულ გავლენას კოლექტივში. თითოეული პირველადი ორგანიზაცია, მისი რიცხოვნობის მიუხედავად, პარტიის მებრძოლი უჯრედი უნდა იყოს და ცხოვრობდეს სისხლსავსე ცხოვრებით, როგორც ეს სკკპ XXVII ყრილობამ დასახა. „პარტიული ცხოვრება, — ითქვა ყრილობისადმი პოლიტიკურ მოხსენებაში, — ჯანსაღი, საქმიანი, მრავალფეროვანი თავისი კონკრეტული გამოვლინებებით და საზრუნავით, ისეთი, რომელსაც ვულახლდობა, გეგმებისა და გადაწყვეტილებების საჯაროობა, ადამიანურობა, კომუნისტების თავმდაბლობა ახასიათებს — აი, რა გვჭირდება დღეს. ჩვენ, კომუნისტებს, გვიყურებენ როგორც მაგალითს ყველაფერში, მუშაობასა და ქცევაში. უნდა ვიცხოვროთ და ვიღაწოთ ისე, რომ მშრომელ კაცს შეეძლოს თქვას: დიახ, ეს ნამდვილი კომუნისტიაო. და რაც უფრო ნათელი და სპეტაკი იქნება ცხოვრება პარტიულ სახლში, მით უფრო მალე გავარმეჟთ თავს იმ არც თუ ისე ადვილ ამოცანებს, რომლებიც ახასიათებს ახლანდელ გარდატეხის დროს“.

პარტიულმა ორგანიზაციებმა, ხელმძღვანელობენ რა ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის, გეგმების შესასრულებლად და ნორმების ეფექტიანობის ასამაღლებლად მშრომელთა დარაზმვის კარგი გამოცდილება შეიძინეს. დღევანდელ ეტაპზე კომუნისტთა თვალთახედვის არეში დღენიადაგ არს ძირითადი საწარმოო და სოციალური ფაქტორები — გარდაქმნა, დაჩქარება, რეკონსტრუქცია და მეცნიერულ-ტექნიკური აღჭურვა-განახლება, ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვა, ყოველ სამუშაო ადგილას გამომუშავების ნორმების შესრულება, რესურსების ეკონომია, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების კოლექტიური ფორმები, მისი პირობების გაუმჯობესება, პროდუქციის სახელმწიფო მიღება და სხვა.

ბევრი პარტიული ორგანიზაცია სწორედ ამ მიმართულებით მუშაობს და აუცილებლად წარმატებასაც აღწევს. ეს განსაკუთრებით ეკუთვნოდა წარმოაჩინა ამას წინათ დამთავრებულმა საანგარიშო-საარჩევნო კამპანიამ, რომელშიც მონაწილეობდა 10.906 პარტჯგუფი, 4.943 საამქრო და 6.680 პირველადი პარტიული ორგანიზაცია.

როგორც ანალიზი ცხადყოფს, საანგარიშო-საარჩევნო კამპანია მიმდინარეობდა პრინციპულობისა და პირუთვნელობის ნიშნით. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კომუნისტების პასიურობის გამო ზოგიერთ პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში გამართული საანგარიშო-საარჩევნო კრებები ერთობ უფრული გამოდგა. ეს ეხება ონის, შესტიის, გურჯაანის, აბაშის რაიონებს. ხოლო ყალეტაურის ზონის, მარნეულის, ხობის, თეთრი წყაროს, წულუკიძის რაიონების პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე კომუნისტებმა ნაკლები ყურადღება დაუთმეს პარტიული მუშაობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების დახვეწას, კომუნისტთა ავანგარდული როლის გაზრდას.

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ქალაქ სოხუმის სასადილოებისა და რესტორნების ტრესტის სამმართველოს აპარატის პარტიულ ორგანიზაციაში გამართული საანგარიშო-საარჩევნო კრება, რომელსაც 8 კომუნისტი ესწრებოდა. მდივნის ათწუთიანი მოხსენება იყო ზოგადი. თვით კრება გაგრძელდა მხოლოდ 30 წუთს და არავინ შეხებია ისეთ საჭირბოროტო საკითხებს, როგორიცაა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, უშრომელი შემოსავალი და სხვა. ცხადია, კომუნისტების ასეთი პასიურობით პარტიული ორგანიზაცია ვერ გადაწყვეტს ვერც ერთ სადღეისო ამოცანას. მაგრამ როცა კომუნისტები აქტიურობენ, ღრმად სწვდებიან საქმის არსს, მაშინ ასეთ პარტიულ ორგანიზაციას, როგორი მცირერიცხოვანიც უნდა იყოს, შეუძლია რთული საკითხების წარმატებით გადაწყვეტა. ამის საილუსტრაციოდ წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის სასოფლო საბჭოსთან არსებული პირველადი პარტიული ორგანიზაციაც (პარტორგანიზაციის მდივანი ი. ხარაშვილი) გამოდგება, რომელშიც ათი კომუნისტიც კი არ იქნება. მაგრამ პარტიულ ორგანიზაციას მუშაობაში ხელს როდი უშლის მცირერიცხოვნობა. აქ კომუნისტებმა სწორად გაიგეს პარტიის მიერ აღებული კურსი, რომელიც მიმართულია ლოთობისა და ალკოჰოლიზმის, მუქთახორობის, უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ, და სოფლის დეპუტატებთან მჭიდრო თანამშრომლობით პრინციპული ბრძოლა გაანაღეს ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ. მათმა მონდომებამ ნაყოფი გამოიღო; სპირტიანი სასმელის ბევრმა მოტრფიალემ დაადგა ძველი გზა და დაუბრუნდა ოჯახს, კოლმეურნეობას, ამიტომ სოფელს დღესდღეობით კისრად არ აწევს არც ერთი ლოთი, უქნარა და მუქთახორა.

პარტიის მიერ დასახული სოციალურ-ეკონომიკური ამოცანები მოითხოვს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, თითოეულ საწარმოო უბანზე პარტიული კონტროლის გაძლიერებას. ეს მუშაობა აღზრდისა და პასუხისმგებლობის ამაღლების ქმედითი საშუალებაა.

რას ავალებს გარდაქმნის კურსი თითოეულ პირველადს პარტიულ ორგანიზაციას? აქტიურად იბრძოდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმისა და სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, იღვწოდეს თავისი უშუალო საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების დახვეწისა და განახლებისათვის. ეს კი შესაძლებელი იქნება მხოლოდ თითოეული კომუნისტის მეცადინეობით და ძალისხმევით, კრიტიკისა და თვითკრიტიკის, კონტროლის გაშლით, ურთიერთმომთხოვნელობით, ყველა საჭირბოროტო საკითხისადმი პრინციპული მიდგომით და გადაწყვეტით. მხოლოდ ასეთ გარემოებაში იბადება სისხლის მოთხოვნილება და სულისკვეთება, შეუწყნარებელი ხდება დისციპლინის დარღვევა, ზნეობრივ-მორალური ნორმებიდან გადახვევა, ჩამორჩენილობა, უძრაობა.

თუ ყოველი პირველადი პარტიული ორგანიზაცია თავის მუშაობაში სისტემატურად იხელმძღვანელებს სკკპ XXVII ყრილობის მიერ შემუშავებული კურსით, მაშინ როგორი მცირერიცხოვანიც უნდა იყოს იგი, მაინც დიდი და სასახელო საქმეების ორგანიზატორად მოგვეჩვენება.

ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲞᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ ᲛᲝᲒᲕᲙᲘᲗᲮᲐᲕᲡ

ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲓᲐᲐᲭᲐᲠᲑᲔᲡ

ᲡᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ: ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲡ ᲡᲐᲡᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ

ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲛᲘ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲛᲘᲦᲔᲑᲖᲔ. ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲕᲚᲔᲚᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲡ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ მეტალურგიული ქარხანაც ერთ-ერთი იმ საწარმოთაგანია, რომელიც ახალ ცხოვრებას იწყებს, მომავალი წლის იანვრიდან პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე გადასვლისათვის მზადებას კოლექტივი დიდი პასუხისმგებლობით შეუდგა. ამასთან დაკავშირებით „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი დ. ᲑᲘᲬᲐᲫᲔ შეხვედა ქარხნის დირექტორს Გ. ᲥᲐᲨᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ და სთხოვა ეპასუხა შეკითხვებზე:

— როგორი მდგომარეობაა ქარხანაში ამ პასუხსაგები პერიოდის დაწყების წინ. არის თუ არა შექმნილი ნორმალურად მუშაობის ყველა პირობა?

— რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივში ამჟამად ნამდვილ საბრძოლო განწყობილება სუფევს. ქარხნის სტაბილური ეკონომიკური მაჩვენებლები მიუთითებს იმაზე, რომ განვლილია მძიმე პერიოდი. განმტკიცდა საკუთარი ძალებისადმი რწმენა, გადალახულია ფსიქოლოგიური ბარიერი. კიდევ ერთხელ გავაანალიზეთ წარსული მწარე გაკვეთილები, დავსახეთ გზები საწარმოს მოწინავე პოზიციებზე გასასვლელად.

ყველაფერი შედარებით შეიცნობა. საჭიროა გავიაზროთ, რა ცვლილებები მოხდა საწარმოს ცხოვრებაში, შევადაროთ მისი დღევანდელი დღე გუშინდელს. სამოდე წლის წინათ ფაქტები ასეთი იყო: შესამჩნევად შესუსტდა წარმოების ზრდის ტემპი, უხეშად ირღვეოდა სახელშეკრულებო დისციპლინა, გაუარესდა პროდუქციის ხარისხი და სხვა. შარშან წარმოების ზრდის ტემპმა 102,8 პროცენტი შეადგინა. გეგმის გადამეტებით 7 მილიონამდე მანეთის პროდუქცია დამზადდა. წელს ეს მაჩვენებლები კიდევ უფრო გაუმჯობესდა. სტაბილური გახდა ძირითადი მეტალურგიული, მილსაგლინავი და მილამდიდავი აგრეგატების მუშაობა, 1983 წელთან შედარებით ერთ-ნახევარჯერ შემცირდა მთი ავარიული მოცდენები, შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება და ზარალი, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, გაფართოვდა საწარმოს. ნომენკლატურა და ა. შ.

ეკონომიკაში დადებითმა ძვრებმა საშუალება მოგვცა გაგვეზარდა მშრომელთა მატერიალური წახალისების ფონდები. 1983 წელთან შედარებით მუშაკთა ხელფასი 13,8 პროცენტით გაიზარდა, გაუმჯობესდა სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობები. უკანასკნელ პერიოდში საწარმომ რამდენჯერმე ზედიზედ გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და დაიმსახურა სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი ითვალისწინებს მეთორმეტე ხუთწლედის დამლევისათვის ელექტროფოლადსადნობი საამქროს მშენებლობის დაწყებას. ისტორიას ჩაბარდება მარტენის, კოქს-ქიმიური, საბრძმედე, საგაზომეტრაციო საამქროები. რეკონსტრუქცია, რომელსაც ათობით მილიონი მანეთი მოხმარდება, მთლიანად შეუცვლის სახეს საწარმოს, მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი გახდება ლითონპროდუქციის ხარისხი, შემცირდება მუშახელის რაოდენობა, გადაწყდება აგრეთვე ფართო სოციალური საკითხები.

— თქვენი ნაამბობიდან ნათელია, რომ ქარხანას აქვს განვითარების დამოკვეთილი პერსპექტივა. იგი სრულად შეესაბამება პარტიის მიერ აღებულ სტრატეგიულ კურსს. მაგრამ ღრმა გარდაქმნების განხორციელება დიდ დროს მოითხოვს. მუშაობის ტემპის დაჩქარებას კი დღესვე უნდა მივალეწოთ. სად არის გამოსავალი?

— მაქსიმალურად ავამოქმედოთ ყველა რეზერვი, უკეთ გამოვიყენოთ არსებული საწარმოო პოტენციალი, — აი, ჩვენი მთავარი სადღეისო ამოცანა. ქარხნის ხელმძღვანელობა თანამიმდევრულად ანორციელებს ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებებს.

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-2 ᲒᲕ.).

ᲛᲘᲡᲐᲡᲐᲚᲛᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲔᲓᲘᲨᲐ

ᲡᲙᲙᲐ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა მიიღოცა ნგუენ ვან ლინს ვიეტნამის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად არჩევა.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ Ნ. Ი. ᲠᲘᲟᲙᲝᲕᲘᲡ ᲤᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲓᲔᲓᲘᲨᲐ

ᲤᲘᲜᲔᲗᲘᲡ რესპუბლიკის პრეზიდენტის მ. კოიტოვისა და ფინეთის მთავრობის მიწვევით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი ფინეთში ოფიციალურ ვიზიტად ჩავა 1987 წლის იანვრის პირველ ნახევარში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

ᲒᲐᲜᲘᲛᲐᲠᲗᲐ საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა გაათავისუფლა თ. ი. მოსაშვილი საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან პენსიაზე გასვლის გამო და მადლობა გამოუცხადა ამ პასუხსაგებ პოსტზე მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობისათვის.

საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია ვ. მ. სირაძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

(საქინფორმი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის ბრძანებულება

ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲖᲔᲛᲝ ᲥᲔᲓᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘ�გᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ პროდუქტების წარმოების გადიდებაში, საჭელმწიფო საგეგმო დავალებათა შესრულებაში მიღწეული წარმატებებისათვის და დაარსების 60 წლისთავთან დაკავშირებით წითელწყაროს რაიონის **სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჯ. ᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ᲚᲐᲨᲫᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. 1986 წლის 19 დეკემბერი.

ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დამადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ამხ. არსენ ალექსის ძე **ᲙᲝᲑᲘᲫᲔ** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისთვის და წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობის დაარსების 60 წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს** **ᲛᲬᲕᲐᲕᲘᲐ** ᲒᲐᲡᲘᲚᲘᲡ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲡ ᲫᲔ — კოლმეურნე, **ᲬᲧᲚᲔᲣᲠᲘ** ᲜᲐᲢᲐ დავითის ასული — ყოფილი კოლმეურნე, პენსიონერი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წელთან დაკავშირებით მწერალი რევაზ კონსტანტინეს ძე **ᲘᲝᲜᲐᲜᲨᲕᲘᲚᲘ** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

ᲙᲘᲛᲝᲗᲝᲗᲘᲚᲘ იოსეფ ნიკოლოზის ძე — ტრაქტორისტთა ბრიგადის ბრიგადირი, **ᲫᲔᲓᲘᲐ** მარო სანდროს ასული — კოლმეურნე, **ᲨᲐᲕᲘᲠᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ვასილ სიმონის ძე — კოლმეურნე, **ᲛᲬᲕᲐᲕᲘᲐ** ᲒᲐᲡᲘᲚᲘᲡ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲡ ᲫᲔ — კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ამხ. არსენ

საკოლმეურნეო შრომის დიდი ამაგდარი

წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობა (ადრე „ქედის კომუნად“ წოდებული) 60 წლისაა, ხოლო მის ხელმძღვანელს, საკოლმეურნეო მწვანე ბალობის ვეტერანს, სოციალისტური შრომის გმირს არსენ კობაიძეს 70 წელი შეუსრულდა.



ვინც შირაქის ველს ზაფხულში ნახავს, უმალ მიხვდება, თუ რატომ უწოდებენ მას „პატარა უკრაინას“, საქართველოს პურის ბელელს. დამწიფებული ოქროსფერი ყანები, მზესუმზირას და სიმინდის მწვანე კვადრატები, ადგილ-ადგილ შავი ხნულები ქადრაკის დაფას მოგაგონებს. ამ დოვლათიან ველს შნოსა და ლაზათს მატებს ქარსაფარი ტყის ზოლები. 200-300 ჰექტარიან ნაკვეთებს ისინი მწვანე სარტყელივით ეკვრიან და პაპანაქება სიცხისაგან, შემოდგომა-გაზაფხულის ქარებისაგან იცავენ.

შირაქში ხე არ ხარობსო, ასეთი მითი ყოფილა გავრცელებული. ახლა კი მის ჩრდილოეთით მდებარე ქედებზე — ზემო ქედში, არხილისკალოსა და ქვემო ქედში, ბაღ-ვენახებია გაშენებული.

ბუნების ასეთი გარდაქმნის შედეგად მნიშვნელოვნად შეიცვალა შირაქის ჰავა, სიცოცხლე შეემატა მიხდორს, სოფელს, ხალხს... უკანასკნელ ოც წელიწადში მარცვლეულის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე ათი-თხუთმეტი ცენტნერით გაიზარდა. ყველაფერ ამას საფუძველი შეუქმნეს მთიდან ჩამოსულმა მხვნელ-მთესველებმა.

შირაქში მთიელთა დასახლების ინიციატორები და ორგანიზატორები იყვნენ ვაჟა-ფშაველა და მისი ძმა ბაჩანა. ახალმოსულებს მათივე შუამდგომლობით სოფლიც გაუხსნეს.

საბჭოთა ხელისუფლების გარიჟრაჟზე, 1926 წლის 25 იანვარს სოფელ ზემო ქედში საყოველთაოდ ცნობილი „ქედის კომუნა“ შეიქმნა. მას სათავეში სამოქალაქო ომებში გამოწრთობილი კობა ჩოხელი ჩაუდგა. პირველად კომუნაში 22 მამაკაცი და რვა დედაკაცი გაერთიანდა — წერია დაფუძნების ოქმში.

კომუნამ 1932 წლამდე იარსება. შვიდი წლის მანძილზე მან დიდი სიძნელეები გადალახა, საქვეყნო სახელი მოიხვეჭა. მის ბაზაზე მერე კოლმეურნეობა დაარსდა.

— „თავმჯდომარედ ისევ მე ამირჩიეს, — იგონებს კობა ჩოხელი თავის ავტობიოგრაფიაში, — ეს მძიმე, მაგრამ საპატიო ტვირთი 1948 წლამდე ვზიდე. და როცა სიბერე მხრებზე შემომაჯდა, სოფლის თავკაცობა არსენ კობაიძეს „გადავუღოცე“.

კომუნა რომ დავაარსეთ არსენ კობაიძე, 10 წლისა იყო. სკოლაში კარგად სწავლობდა. მშრომელი ოჯახის შვილია. მის მშობლებს მაშოსა და ალექსის ერთი ქალიშვილი და ხუთი ვაჟიშვილი ყავდათ. ადრე დაქვრივებულმა ქალმა შვილები ვაჟკაცურად გამოზარდა. დაიწყო სამამულო ომი და ხუთივე ვაჟიშვილი ფრონტზე წავიდა, ოთხი მათგანი: ნიკო, ვანო, შალვა, სანდრო სამშობლოისათვის თავდადებულ ბრძოლებში ვაჟკაცურად დაეცნენ. შინ მხოლოდ დედის კოჭანდარა არსენა დაბრუნდა“.

არსენამ უპატრონა ომში დაღუპულ ძმების ოჯახებს, მათ შვილებს. ყველა გაზარდა და გზაზე დააყენა.

სოფელმა კარგად იცოდა შრომაში, სწავლასა და ბრძოლებში ნაცადი ჭაბუკის ფასი და თავისი ბედიც მას ჩააბარა.

არსენ კობაიძე დაიბადა 1916 წლის 19 დეკემბერს, წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედში. იქვე დაამთავრა არასრული საშუალო სკოლა და სწავლა გაგრძელო სიონალის პედაგოგიურ ტექნიკუმში. ამ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობს მასწავლებლად სოფელ ზემო ქედში, 1938 წელს კი ირჩევენ საქართველოს ალკა წითელწყაროს რაიკომის მეორე მდივნად. ამავე წელს ა. კობაიძე გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში. აქტიურად მონაწილეობდა ფინეთისა და დიდი სამამულო ომის ფრონტებზე, რისთვისაც ორდენები, მედლები და მთავარსარდლის ი. ბ. სტალინის არაერთი პირადი მადლობა დაიმსახურა. 1939 წელს, ფინეთთან ომის დროს, ფრონტზე მეკიდა პარტიაში და დღემდე მისი ერთგული მსახურია. არმიიდან დაბრუნდა ომის დამთავრების შემდეგ და მშობლიურ სოფელ ზემო ქედში სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს, ხოლო 1948 წლიდან ის ამავე სოფლის კოლმეურნეობას ხელმძღვანელობს და თან საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების აგრონომიულ ფაკულტეტს ამთავრებს.

წლების მანძილზე თავდადებული შრომითა და კაკურკაცობით სოფლის, რაიონის, მთლიანად ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებში პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. არასოდეს არ ამპარტავნობს ამ დამსახურებით. სოფელში ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა მას მოკრძალებით „არსენა ძიას“ ეძახის.

არცთუ იმე დიდი სოფელი ზემო ქედი მისი ხელმძღვანელობით აშენდა და დამშვენდა. მისი ქუჩები და ჩამძვებული აფრენთ ნაგები ორსართულიანი სახლები ქალაქს უფრო ჰგავს, ვიდრე სოფელს. შენდებული გახდა სოფლის მოსახლეობა, რომელსაც კარგ სახლ-კართან და ბაღ-ვენახებთან ერთად აქვს თანამედროვე სოფლისა და ქალაქის ყველა სიკეთე — წყალი, გზა, სინათლე, რადიო თუ ტელევიზორი... სულ ახლახან აიგო 600-ადგილიანი კულტურის სახლის შენობა სპორტული კომპლექსით, რომლის სალარაზე და კომფორტი ბევრ ქალაქს შეშურდება. ამ ნაგებობის აშენება კოლმეურნეობას ორ მილიონამდე მანეთი დაუჯდა.

ზემო ქედს ბევრი მთიელი, თავად არსენ კობაიძის სოფლიდან — ჩირიკოდანაც (დუშეთის რაიონი) შემოეპატა და სამუდამოდ აქ დაიდეს ბინა.

შირაქია ამ სოფლის, ამ კოლმეურნეობის, ქედელი გლეხკაცის ყველა სიკეთის ფუძე. შირაქი აძლევს მათ პურს, ხორცს, რძეს, თაფლს... ყოველწლიურად სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობას სამშობლოს მიეცემა 3.000-4.000 ტონა ხორბალი შეაქვს. მარკცლეულია მეცხოველეობის საფუძველიც. კოლმეურნეობას ამჟერად 3.000 სული საქონელი, 15.000 ცხვარი, 5.000 ღორი, უამრავი ფრინველი ჰყავს.

თვითონ არსენ კობაიძეს რომ ჰკითხოთ, ყველაფერ ამას „ოქროხელა ბიუების“ გარჯას მიაწერს. პირველ ყოვლისა სახელგანთქმულ მექანიზატორს, სოციალისტური შრომის გმირს ნიკოლოზ მელიქიშვილს დაასახელებს.

— ნიკალა? — ეს ჩვენი მინდვრების ნამდვილი პროფესორია, — ღიმილით ამბობს თავმჯდომარე, — აი, ეს ახალგაზრდები კი—მიხეილ ლალიაშვილი, სულიკო სუნტიძე, გოდერძი მჭედლური, როლან სუბაშვილი, ქთილა გაგაძე, თუმცა რაღა ახალგაზრდები არიან, ორდენი და მედალი აღარ დარჩა, რომ მათ არ მიეღოთ, ნიკალას ასისტენტები, შეგირდები არიან.

მეცხოველეებს შორის ჩვენმა მოსაუბარემ მოწონავე მეორე ბრიგადირი ვასილ აფციაური და ახალგაზრდა სარქალი გურამ წმამაძე გამოარჩია.

ზერეს არ იტყვით? ხილიჩის ველი თითქმის მთლიანად ვენახებით დაფარა. მთგან 1500 ჰექტარი ზემო ქედის კოლმეურნეობის წილად მოდის.

მთიელები საქონელზე უკეთესად ვენახს უვლიანო, გვითხრა კოლმეურნეობის მევენახე აგრონომმა ნიკოლოზ ბექაურმა. ყოველწლიურად ჰექტარზე საშუალოდ 100-120 ცენტნერი ყურძენი მოჰყავთ. კოლმეურნეობის შემოსავალმა მარტო ამ დარგიდან 5 მილიონს, ხოლო თითოეული მევენახისამ წელიწადში ოთხ-ხუთს და ზოგისამ ათი ათას მანეთს გადაამტა.

— ხილიჩის ზვრები თავის სიტყვას მერე იტყვიან, — გვითხრა არსენმა. მართლაც, შირაქის ნამდვილი გაქანება უახლესი წლების საქმეა. მდინარე ალაზნის წყლით ხილიჩის გასარწყავების შემდეგ ვაზის მოსავლიანობა მნიშვნელოვნად მოიმატებს.

არსენ კობაიძეს დიდი გავლენა, პატივისცემა და სიყვარული აქვს მოხვეჭილი არა მარტო თანამემამულეებში, არამედ მეზობელი აზერბაიჯანის სოფლებშიც, უფრო მეტად კი ზაქათალაში, სადაც ამას წინათ საპატიო მოქალაქედ აირჩიეს.

ოცდაათ წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს ზაქათალის რაიონის სოფელ თალას და წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობის, მათი ხელმძღვანელების დაუდ დაუდგენია და არსენ კობაიძის მეგობრობას. ისინი სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმულნი.

— შე არ მახსოვს, — გვითხრა დაუდ დაუდოვმა. — ჩვენს კოლმეურნეობას, პირადად მე და არსენს რაიმე გასაჭირში ერთმეორისათვის უარი გვეთქვას. ზემოქედელები ჩვენს წყალსა სვამენ, ჩვენ კი მათ ღვინოსო, ხუმრობენ ხოლმე თალელი მეზობლები.

ეს ამ ხუმრობაში სიმართლეც არის, ქედების სოფლების წყალსადენს ზაქათალაში აქვს სათავე. ამის გამო ალაზანზე ახალი ხიდიც აშენდა. მას მეგობრობის ხიდი შეარქვეს.

სახელგანთქმული თავმჯდომარე არსენ კობაიძე ტკბილი ოჯახის პატრონია. ეს უწინარესად მისი მეუღლის, სოფლის მკურნალის ნინოს დამსახურებაა. უფროსმა ვაჟიშვილმა თამაზმა, ახლახან დაიცვა დისერტაცია და ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი დაიმსახურა, უმცროსი, კობა, მეღვინე ტექნოლოგია.

საკოლმეურნეო შრომის დიდი ამაგდარი არსენ კობაიძე დაფასებული კაცია. არაერთხელ აურჩევიათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ვე. ამის გამო ალაზანზე ახალი ხიდიც აშენდა. მას მეგობრობის ხიდი შეარქვეს.

სახელგანთქმული თავმჯდომარე არსენ კობაიძე ტკბილი ოჯახის პატრონია. ეს უწინარესად მისი მეუღლის, სოფლის მკურნალის ნინოს დამსახურებაა. უფროსმა ვაჟიშვილმა თამაზმა, ახლახან დაიცვა დისერტაცია და ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი დაიმსახურა, უმცროსი, კობა, მეღვინე ტექნოლოგია.

საკოლმეურნეო შრომის დიდი ამაგდარი არსენ კობაიძე დაფასებული კაცია. არაერთხელ აურჩევიათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის

სურათებზე: წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის კარიბჭე; კობა ჩოხელი და არსენ კობაიძე.

ვ. გეგნიურის ფოტო.

გარდაქმნის პოზიციებიდან

(დასასრული)

სრული სიმძლავრით ამუშავდა ახალი აგლოფაბრიკა, ტექნიკური განახლება შეეხო წამყვან საბრძმედე, მარტენის, ნაგლინავ, მილსაგლინავ საამქროებს. ეს უკანასკნელი კი განსაზღვრავს ქარხნის ტექნიკური პოლიტიკის ძირითად მიმართულებას. ბოლო ხანს მწყობრში ჩადგა უცხოური და სამამულო წარმოების უახლესი დიდმწარმოებლური მოწყობილობანი, მძლავრად იკიდებს ფიხს ელექტროტექნიკა, გამოთვლითი ტექნიკა, ინერგება ავტომატური მართვის სისტემა, პროგრამული მართვის ავტომატური ხაზები, განხორციელდა „900“ დგანის რეკონსტრუქცია. იცვლება წვრილსორტული საამქროს მოძველებული მაცივრები, სულ უფრო მეტ ძალას იკრებს ინერტული აირებითა და ფხვნილისებური რეაგენტებით ფოლადის ჩაბერვის მეთოდი, მთავრდება სანავთობე მილების დამონტაჟება და ათვისება, დაიწყო. მათი თერმოდამუშავება და ს. შ. ამჟამად ძირითადი წარმოების გაუჩერებლად ხორციელდება საგლინავი და სამანი აგრეგატების რეკონსტრუქცია, რაც დიდად შეუწყობს ხელს ლითონპროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

ტექნიკური პროგრესის სიკეთე თვალნათლივ გამოიხატა პროდუქციის ხარისხით, რამაც საშუალება მოგვცა შეკვეთების შესრულების გეგმები 97,5 პროცენტით შეგვესრულებინა. მომხმარებლების საყვედურები და პრეტენზიები თანდათან მადლობის წერილებმა შეცვალა.

ამას წინათ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით ტიუმენის ოლქში მივავლიეთ სპეციალისტთა ჯგუფი რუსთაველი მილების ხარისხის ადგილზე გაცნობის მიზნით. კომისიამ მაღალი შეფასება მისცა ჩვენს სატუმბე-საკომპრესორო, შემომკავებელ და აირლიფტური სისტემის მილს. პირობითი კლასიფიკაციით მათ პირველ ადგილზე დააყენეს ჩვენი და იაპონური მილები, მომდევნოზე — პერვოურალსკისა, ხოლო შემდეგ ტაგანროგის, დნეპროპეტროვსკისა და სუმგაითის მილები.

ახლახან ქარხანაში მოვიდა „სოიუზტურბოსტალის“ საკავშირო გაერთიანების უფროსის ა. ფოტოვის დეპეშა, რომელშიც მხურვალე მადლობას უხდის კოლექტივს ტაგანროგის კომბაინების ქარხნისათვის კომბაინ „დონის“ სერიულად გამოსაშვებად სრულიად ახალი სწორკუთხოვანი პროფილის მილების დაჩქარებულ ვადებში მიწოდებისათვის. კომბაინ „დონზე“ ბევრი საქმე სიტყვა ითქვა სკკპ XXVII ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან. და თუ მისი გამოშვება ქვეყანაში მნიშვნელოვან მოვლენად იქცა, ამაში რუსთაველ მეტალურგთა დიდი წვლილიც არის.

მეთორმეტე ხუთწლედში ქარხნისათვის გამოყოფილია სოლიდური კაპიტალური დაბანდება. საინვესტიციო პოლიტიკის წარმატებას ბევრად განსაზღვრავს ის, თუ რამდენად ეფექტიანად გამოვიყენებთ ამ რესურსებს. ბოლო წლებში საწარმოში ამ მხრივ მრავალი გადაუჭრელი პრობლემა გვქონდა. ირღვეოდა ობიექტების ჩაბარების ვადები, ბოლო არ უჩანდა დაუმთავრებელ მშენებლობას, შეუწყნარებლად იზრდებოდა დაუდგმელი მოწყობილობის რაოდენობა, სუსტი იყო სამშენებლო ორგანიზაციათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ახალი საამქროს განახლებული უბანი დანიშნულებას ვერ ამართლებდა, რადგან შენდებოდა მოძველებული, უვარგისი პროექტებით. ამის გამო მოგვიხდა მთლიანი კვანძებისა და ნაზების გადაკეთება ახალ აგლოფაბრიკაში, მილსაგლინავ და სხვა საამქროებში.

ჩვენ წინაშე დიდი ამოცანებია დასახული. ძალებისა და სახსრების გადანაწილება, ძირითადი მიმართულებების შერჩევა რეალურად წყვეტს მშენებლობის ვადებს სულ ცოტა ორჯერ შემცირებას. ამ ამოცანების გადასაწყვეტად ვემზადებით ერთდროულად, როგორც დამკვეთი, ასევე სამშენებლო ორგანიზაცია.

— დაწვრილებით შეეხეთ საწარმოს ტექნიკურ მდგომარეობას. ახლა გთხოვთ მოგვითხროთ იმ ორგანიზაციულ ღონისძიებებზე, პროდუქციის სახელმწიფო მიღებისათვის რომ ახორციელებთ.

— ქარხნის ადმინისტრაცია და პარტიული კომიტეტი ამ მხრივ მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან. სექტემბრის შუა რიცხვებში ქარხანაში ჩამოყალიბდა სახელმწიფო მიღების საქარხნო ორგანო, რომელშიც 47 წამყვანი სპეციალისტი შევიდა, მათ შორის უმრავლესობა კომუნისტები არიან. ამით ჩვენ კი არაფერი დავკარგეთ, არამედ შევიძინეთ. შევიძინეთ კარგი თანამშემწენი და მრჩევლები. სახელმწიფო მიღების ორგანოს ხელმძღვანელად დაინიშნა საგლინავი საამქროს უფროსი ანზორ ბურჯანაძე, რომელსაც სამეურნეო და პარტიული მუშაობის მდიდარი გამოცდილება აქვს.

სახელმწიფო მიღების მოსამზადებელ პერიოდში დიდი ყურადღება ექცევა მშრომელებთან ინდივიდუალურ მუშაობას. ჩვენი მიზანია კოლექტივის თითოეულ წევრს გავაგებინოთ პროდუქციის სახელმწიფო მიღების ორგანოს ჩამოყალიბების დანიშნულება და მიზანი, აგრეთვე ის, რომ წუნდებული პროდუქცია არ უნდა ვაწარმოოთ. ამ საქმეს მთელი პრინციპულობით და ერთგულებით მოემსახურება პროდუქციის მიღების სახელმწიფო ორგანო.

მომდინარეობს ორგანოს მუშაკების მომზადება. მათ უწინარესად ვაცნობთ ტექნოლოგიურ ინსტრუქციებსა და ტექნიკურ პირობებს, მისაღები პროდუქციის დოკუმენტებს, საკონტროლო გამზომ ხელსაწყოებს. ორგანოს მუშაკების საწარმოში მუშაობის სტაჟი საშუალოდ 7-დან 33 წელიწადია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მათ საკმაო გამოცდილება აქვთ შეძენილი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელმა ცენტრმა ჩვენთან ერთად მოაწყო ქარხნის მშრომელთა სოციოლოგიური გამოკითხვა ამ მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხისადმი მათი დამოკიდებულების დასადგენად. გამოირკვა, რომ მშრომელებს ძირითადად კარგად აქვთ შეგნებული ის უდავო ჭეშმარიტება, რომ ეკონომიკის მუშაობის ყველა დარგის ჯამი პროდუქციის ხარისხში იყრის თავს და სწორედ ხარისხის გაუმჯობესება განსაზღვრავს იმას, თუ როგორ წარმორთება საქმე სახალხო მეურნეობაში.

ექსპერიმენტის წესით ოქტომბრის პირველ ნახევარში დავიწყეთ და ინტენსიურად მიმდინარეობს პროდუქციის სახელმწიფო მიღება. ყველაფერს ვღონობთ გეგმით გათვალისწინებული პროდუქციის წარსადგენად. მზა პროდუქციის მიღებასთან ერთად სახელმწიფო მიღების ორგანო აწარმოებს ტექნოლოგიური პროცესების შემოწმებას და „მფრინავ“ კონტროლს.

მაგრამ ამ საქმეში ნაკლოვანებებიც საკმაოდ გვაქვს. პროდუქციის სახელმწიფო მიღების ორგანომ შეამოწმა სათანადო სტანდარტები და დადგინდა, რომ ქარხანას არ შეუძლია მთელი რიგი აგრეგატების რეკონსტრუქციის, მოდერნიზაციისა და აღქურვის გარეშე აწარმოოს პროდუქცია მსოფლიო სტანდარტების დონეზე. ამჟამად ხორციელდება ენისსიიებანი ნავთობსამეწველო მილების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, რათა იგი მსოფლიო სტანდარტებს შეესაბამებოდეს. აღნიშნულის რეალიზაცია განზრახულია 1987-1990 წლებისათვის. გამოყოფილია სათანადო სახსრები. მარტო მხმე მანქანათმშენებლობის სამინისტრომ საწარმოს 7,5 ათასი ტონა მოწყობილობა უნდა მოაწოდოს.

რედაქციისაგან: რუსთავის მეტალურგიული ქარხანა ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა, რომელიც ინტენსიურად ვითარდება. მისი პროდუქცია იგზავნება მსოფლიოს 33 ქვეყანაში და ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანეს მშენებლობებზე. ქარხანამ კარგა ხანია დაიწყო მზადება პროდუქციის სახელმწიფო მიღებისათვის, მაგრამ როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე აღინიშნა, რომელმაც მოისმინა ქარხნის დირექტორის გ. ქაშაკაშვილის ანგარიში, ამ მხრივ გაწეული მუშაობა არასაკმარისია.

პროდუქციის სახელმწიფო მიღებისათვის მზადებაში გამოვლინდა სერიოზული ნაკლოვანებები. ჯერ კიდევ მთლიანად არ სრულდება მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულება, ქარხნის მიერ გამოშვებული პროდუქციის ნაწილი კვლავაც ვერ უპასუხებს ხარისხის სათანადო მოთხოვნებს, ამიტომ გასაკვირი როდია, რომ მასზე აქ კვლავაც ღებულობენ რეკლამაციებს, იყო მილნამზადის უკან დაბრუნების შემთხვევები. საწარმოს ხელმძღვანელობას არაერთხელ მეუთათვის ეგანა, რომ გადასრულია ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციებისაგან, რაც პროდუქციის სახელმწიფო მიღების დაწყებამდე დარწმენილ დროში აუცილებლად უნდა მოგვარდეს.

კიდევ უფრო გულდასმით უნდა გავაცნოთ შრომითი კოლექტივის თითოეულ წევრს პროდუქციის სახელმწიფო მიღების დიდი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა. ამ მხრივ ქარხანაში ჯერჯერობით ყველაფერი რიგზე კარ არის. მუშათა გარკვეული ნაწილი არ იცნობს არასაუწყებო კონტროლის ამოცანებსა და პირობებს, უფრო ფართოდ და გაბედულად უნდა დაინერგოს საწარმოში შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული ფორმები — სამეურნეო ანგარიში და კოლექტიური იჯარა; იგი ამავე დროს ხელს შეუწყობს ხარისხის გაუმჯობესებას.

არის აგრეთვე სხვა ნაკლოვანებები და ხარვეზები, რომლის აღმოფხვრისათვის ქარხნის დირექციამ და პარტიულმა კომიტეტმა უნდა განახორციელონ ღონისძიებანი, რაშიც ქმედითად უნდა დაეხმაროს პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტი.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივს მრავალი წინააღმდეგობა და ბარკლო�ს შეხვედრია და დაუძლევია, მრავალი სახელოვანი ფურცელი ჩაუწერია ქართული მეტალურგიის განვითარების საქმეში. ცხადი, იგი მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს კვლავაც წარმატებით გამოასწორებს და პროდუქციის სახელმწიფო მიღების დაწყებას ყოველმხრივ მომზადებული შეხვდება.

ბალი ჩვენი საგარეუბნო

რას მეკითხებიან მეგზაურების ამხანაგობათა ახალი ტიპობრივი წესდება

წლიდან წლამდე სულ უფრო პოპულარული ხდება რესპუბლიკის მებაღეობის ამხანაგობათა მუშაობა. ფართოვდება მათი მოქმედების მასშტაბები და იზრდება მებაღეობის წევრთა რაოდენობა, რომელიც 60 ათასს აჭარბებს. მათ განკარგულებაშია 5.000 ჰექტარზე მეტი მიწა, რომელზეც მოჰყავთ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა პროდუქტები, პარტია და საბჭოთა მთავრობა შეუნელებელ ყურადღებას უთმობენ მებაღეობის ამხანაგობათა მუშაობას. ამ რამდენიმე ხნის წინათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს საგანგებოდ მსჯელა კოლექტიური მებაღეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ და მოიწონა საბალე ნაკვეთების მატების უზრუნველყოფის თაობაზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესაბამისი დადგენილების საფუძველზე მეთორმეტე ხუთწლედში ჩვენს რესპუბლიკაში დამატებით უნდა გამოიყოს 54 ათასი ნაკვეთი; ხუთწლედის ბოლოს სულ საბალე ნაკვეთების რაოდენობა 110-120 ათასს მიაღწევს, რაც ნიშნავს, რომ ქალაქში მცხოვრებ ყოველ მესამე ოჯახს გარეუბანში ექნება მიწის ნაკვეთი.

ქალაქის მოსახლეობის შრომისა და დასვენების ამ აქტუალური ფორმის განვითარების პერსპექტივები მოითხოვს მებაღეობის ამხანაგობათა ორგანიზაციის ახალ, დახვწილ დონეს, მათი საქმიანობის უფრო ზუსტ, სამართლებლივ მართვას.

ამიტომ იყო, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამას წინათ მიიღო მებაღეობის ამხანაგობათა ახალი ტიპობრივი წესდება. ამასთან დაკავშირებით რედაქციამ საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარეს ზაალ აბაზაძეს სთხოვა კომენტარი გაუკეთოს ამ დოკუმენტს. ვბეჭდავთ საუბრის ჩანაწერს:

არის თუ არა პრინციპული განსხვავება ძველად მოქმედ და ახლად მიღებულ ამ ნორმატიულ აქტს შორის?

— დიახ, არის; სერიოზულად შეიცვალა ან შეიცვლა წესდების იმ მნიშვნელოვანი დებულებები, როგორიცაა მებაღეობის ამხანაგობის ორგანიზაციის წესი, მისი ტერიტორიის ორგანიზაცია და განაშენიანება. კორექტირებულია პუნქტები, რომლებიც ეხება მებაღეობის ამხანაგობის წევრობას, ამხანაგობის მართვას.

კონკრეტულად რა ცვლილებებია. წესდებაში ახლად შექმნილ ამხანაგობის ორგანიზაციის წესში?

— თუ ძველი წესდების თანახმად, მებაღეობის ამხანაგობა იქმნებოდა შრომით კოლექტივთან, სადაც სულ ცოტა 20 პირს სურდა გამხდარიყო ამხანაგობის წევრი, ახალი წესდებით ეს რაოდენობა 30-ამდე გაიზარდა. მსურველ პირთა ნაკლები რაოდენობის შემთხვევაში, სახალხო დეპუტატთა რაიონულ, საქალაქო საბჭოს აღმასკომს, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადგილმდებარეობის მიხედვით, შეუძლია ნება დართოს მათ გაერთიანდნენ მებაღეობის ამხანაგობის შესაქმნელად ერთ-ერთ მათგანთან, სადაც ყველაზე მეტია ამ ამხანაგობაში შესვლის მსურველი.

რატომ გახდა საჭირო მებაღეობის ამხანაგობის წევრთა მინიმალური რაოდენობის განსაზღვრა?

— ამხანაგობის ორგანიზაცია და საბალე ნაკვეთების კეთილმოწყობა, ჩვეულებრივ, ამხანაგობის წევრთა ფულადი სახსრებით ხდება. ეს საგანგებოდ არის აღნიშნული ახალ წესდებაში. ასე რომ, მცირერიცხოვანი კოლექტივები უძლურნი არიან საერთო კომუნიკაციები მოაწყონ. სწორედ ეს არის მიზეზი, რამაც განსაზღვრა ამხანაგობის წევრთა მინიმალური რაოდენობის გაზრდა.

მიწის რა ფართობი გამოეყოფა ამხანაგობის წევრს?

— ძველი წესდებით ამხანაგობის წევრს გამოეყოფოდა 600 კვადრატულ მეტრამდე ფართობი. ახალ წესდებაში გამოსაყოფი მიწის ფართობი განისაზღვრა 400-დან 600 კვადრატულ მეტრამდე. ეს ნიშნავს, რომ კოლექტიური მებაღეობის მოსაწყობად გამოყოფილი მიწის ფართობისა და ამხანაგობის წევრობის მსურველთა რაოდენობის მიხედვით მებაღეობის ამხანაგობა განსაზღვრავს, რა ფართობის ნაკვეთი შეუკვეთოს თითოეული წევრისთვის ტერიტორიის ორგანიზაციის პროექტის შედგენის დროს, მაგრამ ის არ უნდა იყოს 400 კვადრატულ მეტრზე ნაკლები და 600 კვადრატულ მეტრზე მეტი.

ახალი წესდებით ვინ შეიძლება იყოს მებაღეობის ამხანაგობის წევრი?

— წესდებაში ამ მუხლმა საბოლოოდ ასეთი სახე მიიღო: „მებაღეობის ამხანაგობის წევრები შეიძლება იყვნენ ამ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მუშაკები, რომელთანაც შექმნილია მებაღეობის ამხანაგობა, აგრეთვე პენსიონერები იმ პირთა რიცხვიდან, რომლებიც ადრე მუშაობდნენ მოცემულ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში. სხვა მოქალაქენი შეიძლება მიღებულ იქნენ მებაღეობის ამხანაგობის წევრად სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

ამხანაგობის წევრად მიღებისას უპირატესობა მიეცემათ კეთილსინდისიერ მუშებსა და მოსამსახურეებს, შრომის ვეტერანებს, დიდი სამამულო ომის ინვალიდებსა და მონაწილეებს, პირებს, რომლებიც დადგენილი წესის მიხედვით უფლებებით გათანაბრებულნი არიან მათთან, ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ ორი და მეტი შვილი.

უნდა აღინიშნოს, რომ აქ ჩამოთვლილი უპირატესობანი ვრცელდება მხოლოდ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში მომუშავეებზე მებაღეობის ამხანაგობის შექმნისას.

მებაღეობის ამხანაგობის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში ამხანაგობაში შესვლის უპირატესი უფლება ეძლევა გარდაცვლილის ერთ-ერთ მემკვიდრეს. ესეც მნიშვნელოვანი სიახლეა წესდებაში. საკმარისია ამხანაგობის წევრის გარდაცვალებისას ამხანაგობის გამგეობაში დაინტერესებულმა პიროვნებამ წარადგინოს მემკვიდრეობის მოწმობა, რომ ორგანიზაციის აღმინისტრაცია და პროფკომიტეტი ვალდებულნი არიან განიხილონ მისი წევრად მიღების საკითხი აღნიშნული უპირატესობის გათვალისწინებით. მემკვიდრის წევრად მიღების საკითხის გადაწყვეტის დროს, მის კუთვნილებაში გადადის ნაკვეთი მასში არსებული ნაგებობებით.

ამავე მუხლის შესაბამისად, „ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვა საპატიო მიზეზების გამო, რომლებიც აფერხებენ ამხანაგობის წესდების მოთხოვნათა შესრულებას, ცალკეულ შემთხვევაში მებაღეობის ამხანაგობიდან მისი რომელიმე წევრის გამოსვლის შემთხვევაში ამხანაგობაში შეიძლება შეიდეს მისი ოჯახის ერთი წევრი, თუ იგი მასთან ერთად სარგებლობდა საბალე ნაკვეთით და მონაწილეობას იღებდა მის ათვისებაში“.

და კიდევ ერთი სიახლე: ახალი წესდების შესაბამისად, სხვა მიზეზების გამო მოქალაქეთა ამხანაგობიდან გამოსვლის შემთხვევაში, წევრად მიიღებიან მოცემულ პუნქტში აღნიშნული პირები. თუ არ არიან ამხანაგობაში წევრად შესვლის მსურველნი, დასაშვებია მხოლოდ მოცემული დარგის მუშაკები, საკოორდინაციო საბჭოსთან შეთანხმებით. საკითხის გადაწყვეტის დროს საჭიროა ზუსტად განისაზღვროს მოცემული დარგი, რათა არ მოხდეს ამ საქმეში შეცდომა. ამასთან, საკითხის ასე გადაწყვეტა ხელს შეუწყობს მოქმედ ამხანაგობაში ცარიელი ნაკვეთების დროულ ათვისებას.

დიდი სამამულო ომის და სსრ კავშირის დასაცავად სხვა საბრძოლო ოპერაციათა მონაწილე არამომუშავეებს სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან, რომლებიც მსახურობდნენ მოქმედი არმიის შემადგენლობაში შეიტანენ სამხედრო ნაწილებში, შტაბებსა და დაწესებულებებში, პარტიზანებს, აგრეთვე შეიარაღებული ძალების ვეტერანებს — არამომუშავე პენსიონერებს ოფიცერთა შემადგენლობის პირთა რიცხვიდან, რომლებმაც უმწიკვლოდ იმსახურეს სამხედრო სამსახურში არანაკლებ 25 კალენდარული წელი და დათხოვილი არიან ნამდვილი სამხედრო სამსახურიდან ასაკის, ავადმყოფობის, შტატების შემცირების ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, უფლება აქვთ შეიდნენ დადგენილი წესით ორგანიზებულ მებაღეობის ამხანაგობებში, მიუხედავად მათი უწყებრივი კუთვნილებისა.

ზემოთაღნიშნულ პირთა მიღება მებაღეობის ამხანაგობის წევრებად ხდება სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული საბჭოების აღმასკომების წარდგინებით მებაღეობის ამხანაგობის წევრთა რაოდენობის 20 პროცენტის და არა როგორც ძველ წესდებაში იყო 10 პროცენტის ფარგლებში.

აღნიშნულ კატეგორიას ეხებათ უფლება აგრეთვე შეიდნენ მებაღეობის ამხანაგობაში გასული წევრის ნაცვლად.

მებაღეობის ამხანაგობის წევრები არ შეიძლება იყვნენ მოქალაქენი თუ მათ, ან მათთან ერთად მცხოვრებ და საერთო მეურნეობის მქონე მათი ოჯახის წევრებს აქვთ სარგებლობაში ინდივი

ეროვნული ბიბლიოთეკა
ფაქტები • მოვლენები

სრული ერთიანობის ნიშნით

დამთავრდა ვიეტნამის კომპარტიის ყრილობა

ჰანოი. აქ მუშაობა დაამთავრა ვიეტნამის კომუნისტური პარტიის VI ყრილობამ.

რესპუბლიკის ყველა პროვინციისა და ქალაქის პარტიულ ორგანიზაციათა წარმომადგენელი დელეგატები ოთხი დღის განმავლობაში განიხილავდნენ ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებას, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1986-1990 წლების ძირითად მიმართულებებს. დამტკიცებულია პარტიის წესდების ცვლილებანი.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ი. კ. ლიგაჩოვის მეთაურობით წარგზავნილი სკკპ დელეგაცია, სხვა მოძმე პარტიათა, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა დელეგაციები.

საბოლოო სხდომაზე მიიღეს რეზოლუციები, რომლებიც თაც მოიწონეს ყრილობისადმი ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება, სახალხო-სამეურნეო განვითარების ამ ხუთწლიდის პროგრამა. წაიკითხეს ცენტრალური კომიტეტის არჩევნების შედეგები. ცენტრალურ კომიტეტში შეყვანილია 173 კაცი.

ცენტრალური კომიტეტის პირველ პლენუმზე ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად აირჩიეს ნგუენ ვან ლინი. არჩეულია აგრეთვე ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და სამდივნო

ვიეტნამელ კომუნისტთა ფორუმის დახურვისას ნგუენ ვან ლინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყრილობა მუშაობდა აქტიურად და დაძაბულად, პარტიისა და ხალხის წინაშე დიდი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით. ყრილობამ გამოთქვა სრული ერთიანობა შეხედულებებისა და დებულებებისადმი, რომლებიც აისახა ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებასა და სხვა დოკუმენტებში. ერთხმად მიიღეს დიდმნიშვნელოვანი რეზოლუციები, რომელთა მიზანია ხელი შეუწყონ სიტუაციის შეცვლას, ქვეყნის წინაშე მდგომ სიძნელეთა დაძლევას, ვიეტნამის წარმატებულ წინსვლა-განვითარებას. ყრილობაზე გამოთქმული სრული ერთიანობა შესაძლებლობას გვაძლევს სიხარულით დავადასტუროთ ის ფაქტი, რომ ფორუმმა მთელ პარტიასა და მთელ ხალხს გაუმართალა იმედი, ვიეტნამის კომპარტიის წარმმართველი საქმიანობის განახლების მისწრაფება.

ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობის გამართული არჩევნები განასახიერებს მონაცვლეობის ტრადიციას, რომელიც აუცილებელია პარტიული ხელმძღვანელობის მტკიცე განახლებისათვის იმ ეტაპის შესაბამისად, ამჟამად რომ დაუდგა ვიეტნამის რევოლუციას. ყრილობის დელეგატებმა დააკმაყოფილეს ამხანაგების ჩიონგ ტინის, ფამ ვან დონგისა და ლე დ�კ თხოს თხოვნა — არ წამოიყენებინათ მათი კანდიდატურები ცენტრალური კომიტეტის არჩევნებში, და დაავალა მათ იმუშაონ ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პოლიტბიუროს მრჩევლებად. პარტია და ხალხი მაღალ შეფასებას აძლევენ ამ ამხანაგების უდიდეს ღვაწლს, რომელთა საქმიანობა რევოლუციისა და კომუნიზმის საქმის უანგარო და პატიოსანი სამსახურის მაგალითია.

ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც კარგად ესმის, თუ რაოდენ დიდი პასუხისმგებლობა დააკისრა ყრილობამ, თქვა შემდეგ ნგუენ ვან ლინმა, აღგითქვამთ, რომ მთელ ძალ-ღონეს მოახმარს ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებას.

ყრილობის ტრიბუნიდან მთელ ვიეტნამს ესმოდა ჩვენი მეგობრებისა და ძმების ხმა. საზღვარგარეთელმა სტუმრებმა განაცხადეს, რომ ვიეტნამის კომუნისტური პარტიის კომუნისტებსა და ხალხს გულწრფელი მეგობრობის გრძნობითა და ნდობით ეკიდება და მხარში უდგას დიდი საბჭოთა კავშირი, რომელიც ქვეყნად მშვიდობისა და რევოლუციის ბურჯია, მხარში გვიდგანან ჩვენი განუყრელი მეგობრები ლაოსი და კამბუჩია, სხვა მოძმე სოციალისტური ქვეყნები, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობა, ჩვენი მოკეთეები მთელ მსოფლიოში. გულწრფელ მადლობას მოგახსენებთ ამ გრძნობებისათვის, მადლობას ვუძღვნით უცხოეთის დელეგაციებს, რომლებმაც თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს ყრილობის წარმატებულ მუშაობას.

ვიეტნამის კომპარტიის VI ყრილობა მოასწავებდა დიდმნიშვნელოვან ცვლილებებს პოლიტიკური, იდეოლოგიური და ორგანიზაციული თვალსაზრისით. პარტიული ხელმძღვანელობის მონაცვლეობისა და განახლების პროცესში ყრილობის წარმატება ერთობ დიდმნიშვნელოვან საფუძველს უქმნის პარტიისა და ხალხის შემდგომი შეკავშირებისა და ერთიანობის გამმტკიცებას. ჩვენს წინაშე კიდევ ბევრი სიძნელე და განსაცდელია, რომელთა დასაძლევადაც დიდი ძალისხმევა გვმართებს. შეკავშირებისა და განახლების სულისკვეთების შესაბამისად, რომლითაც გამოირჩეოდა ყრილობის მუშაობა, საჭიროა მთელი ძალ-ღონე მოვახმაროთ ჩვენი პარტიული ფორუმის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას — სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ყოველმხრივ სტაბილიზაციას, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის წინამძღვრების შემდგომ შეცვლას. ვერფერი დააბრკოლებს ჩვენს წინსვლა-განვითარებას, ხაზგასმით აღნიშნა დასასრულ ვიეტნამის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცენტრალურმა მდივანმა.

ყრილობის დასასრულს შესრულდა „ინტერნაციონალი“.

უშიშროების ინტერესებით ნაკარნახევი

საზღვარგარეთის პრესა საბჭოთა მთავრობის განცხადების შესახებ

მსოფლიო პრესა ძირითად ყურადღებას უთმობს საბჭოთა მთავრობის განცხადებას ბირთვული გამოცდების საკითხზე. როგორც გაზეთები აღნიშნავენ, საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილება მომავალ წელს ამერიკის შეერთებული შტატების პირველი ბირთვული აფეთქების შემდეგ თავისი მორატორიუმის შეწყვეტის შესახებ იძულებითი ღონისძიებაა და ნაკარნახევია მხოლოდ და მხოლოდ უშიშროების ინტერესებით.

ბულგარეთის გაზეთები, რომლებიც აქვეყნებენ განცხადების სრულ ტექსტს, სათაურებში აღნიშნავენ: „სსრ კავშირს არ შეუძლია გამოიჩინოს გაუთვალებელი თავშეკავება“ („რაბოტნიჩესკო დელო“), „სსრ კავშირი კვლავ სთავაზობს ბირთვული გამოცდების აკრძალვას“ („ნაროდნა არმია“), „იძულებითი ღონისძიება უშიშროების ინტერესებისათვის“ („კოოპერატივნო სელო“), საბჭოთა კავშირი, წერს „რაბოტნიჩესკო დელო“, კვლავ ყოველგვარი ბირთვული გამოცდის სრული შეწყვეტის ერთგული მომხრეა, და იგი მიაჩნია უპირველეს მნიშვნელოვან ღონისძიებად მთავარი მიზნის — გამალებული ბირთვული შეიარაღების შეკავების, მისი შემდგომი სრული მოსპობის მიღწევის საქმეში.

საბჭოთა კავშირმა, იუწყება „ვაშინგტონ პოსტი“, გამოაცხადა, რომ, როგორც კი 1987 წელს ამერიკის შეერთებული შტატები მოაწყობს პირველ ბირთვულ გამოცდას, იგი შეწყვეტს ბირთვულ აფეთქებებზე ცალმხრივი წესით გამოცხადებულ მორატორიუმს, რომელსაც უკვე წელიწად-ნახევარია იცავს. მაგრამ ამავე დროს სსრ კავშირმა განაცხადა, რომ მზად არის ეძებოს გზები გამოცდების ეტაპობრივი შეწყვეტის შესახებ მორიგების მისაღწევად. საბჭოთა კავშირი, აღნიშნავს გაზეთი, მზად არის აგრეთვე განაახლოს მორატორიუმი ნებისმიერ დღეს ნაცვალგების საფუძველზე.

ინდოეთის გაზეთი „დეკან ჰერალდი“ ერთ-ერთ თავის კომენტარში აღნიშნავს, რომ სსრ კავშირი მზად არის დაამყაროს შეერთებულ შტატებთან ისეთი ურთიერთობა, რომელსაც საფუძვლად დაედება საერთაშორისო საქმეებში იმ ძირეული გარდაქმნების აღიარება, ბოლო ათწლეულებში რომ მოხდა. სსრ კავშირის პოლიტიკის განუხრელი მიმართულებაა, წერს გაზეთი, ახალი საუკუნის დამდეგს ბირთვული იარაღის სრული მოსპობისათვის ბრძოლა.

● სალვადორი

წინადადება უარყვეს

ჰავანა. სალვადორის ანტიხალხური რეჟიმის მეთაურმა დუარტემ უარყო აჯანყებულთა წინადადება საშობაო და საახალწლო დღესასწაულების დღეებში ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე. სალვადორის მარიონეტული არმიის ნაწილებს მიეცათ ბრძანება განაგრძონ დამსჯელი ოპერაციები ფარაბუნდო მარტის სახელობის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის რაზმების წინააღმდეგ.

◆ ბრაზილია

მინისტრთა შეხვედრა

რიო-დე-ჟანეირო. კონტადორის ჯგუფის და მხარდამჭერი ჯგუფის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა მიიღეს გადაწყვეტილება წარმომადგენლობითი კომისიის შექმნის შესახებ, რომელსაც დაევალება განაახლოს მოლაპარაკება ცენტრალური ამერიკის ქვეყნებთან რეგიონში ვითარების მშვიდობიანი მოწესრიგების მიზნით. კომისიაში შეელენ კონტადორის პროცესში მონაწილე რვა ლათინურამერიკული ქვეყნის, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წარმომადგენლები.

● სსრ კავშირი-ჩინეთი

ხელი მოაწერეს ოქმს

პეკინი. აქ 11-18 დეკემბერს მიმდინარეობდა მდინარეების არგუნისა და ამურის სასაზღვრო უბნების კომპლექსური გამოყენების სქემის შემუშავებისადმი ხელმძღვანელობის საბჭოთა კავშირ-ჩინეთის კომისიის პირველი სხდომა. ეს კომისია შეიქმნა ორი ქვეყნის მთავრობების შეთანხმების შესაბამისად.

სხდომაზე განიხილეს ორმხრივ მორიგებათა განხორციელებასთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხები. ამ რაიონში ორივე ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების ინტერესებისათვის, ნათქვამია ხელმოწერილ ოქმში, სქემაში განხილულია არგუნისა და ამურის წყლის რესურსების გამოყენების ვარიანტები, აგრეთვე მშენებლობის პირველი რიგის ობიექტები, მათ შორის ჰიდროენერგეტიკის, წყალდიდობისაგან დაცვის, ირიგაციის, ნაოსნობის, წყლის რესურსების დაცვის, თევზის მეურნეობის დარგებში.

ამ დარგებიდან, ხაზგასმულია ოქმში, პრიორიტეტი მიეცემა თანამშრომლობას ჰიდროენერგეტიკის, კომუნალური წყალმომარაგებისა და წყალდიდობისგან მიწების დაცვის დარგში.

საბჭოთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს კომისიის საბჭოთა ნაწილის თავმჯდომარე — სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ფ. ა. ფოლად-ზადე, მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წყალთა მეურნეობისა და ელექტროენერგეტიკის მინისტრმა ძიან ჯენ ინმა.

ჩვენ კმაყოფილი ვართ ერთობლივი კომისიის მუშაობით, განაცხადა ძიან ჯენ ინმა ჟურნალისტებთან საუბარში. მან თქვა, რომ კარგი პერსპექტივებია დასახული ამ დარგებში საბჭოთა კავშირ-ჩინეთის თანამშრომლობისათვის.

ფოტოფაქტი

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ

აღშფოთება და პროტესტი

აღშფოთებისა და პროტესტების ტალღამ გადაუარა იაპონიის ქალაქ კომაკომაიის (მოკაიდოს კუნძული), როცა დღისით-მზისით სრულიად გაუფრთხილებლად ქალაქის ნავსადგურში შევიდა ამერიკის მე-7 ფლოტის საბრძოლო ხომალდი. აღშფოთებულმა მცხოვრებლებმა განმარტებისათვის ხელისუფლებს მიმართეს, მაგრამ ქალაქის თვკაცებმა ურცხვად განაცხადეს, ეს ჩვეულებრივი სამოქალაქო გემიაო. კითხვაზე, თუ რატომ მოჩანს ხომალდზე ტანკები და სხვა სამხედრო ტექნიკა, დუმილით უპასუხეს. მუნიციპალიტეტის შენობიდან კომაკომაიის მცხოვრებლები ნავსაყუდელისკენ გაეშურნენ, სადაც მანიფესტაცია მოაწყვეს. „არ დავუშვებთ მოკაიდოს ბირთვული ომის ახპარეზად გადაქცევას!“, „აიკრძალოს ბირთვული იარაღი!“ — ასეთი ლოზუნგები იყო წარწერილი მანიფესტანტთა პლაკატებზე.

• • •

სურათზე: მანიფესტანტები კომაკომაიის ნავსადგურში, სადაც ისინი ოჯახის წევრებითურთ მოვიდნენ.

საკადრისი ფოტო.

ᲢᲔᲚᲔᲢᲐᲘᲞᲘᲡ ᲚᲔᲜᲢᲘᲓᲐᲜ

◆ **კოტონუ.** ლომედან მიღებული ცნობით, ტოგოს დედაქალაქში სახელმწიფო უშიშროების ტრიბუნალმა დაიწყო იმ პირთა საქმეების მოსმენა, რომლებიც შეიპყრეს ამა წლის 24 სექტემბერს, როგორც ანტისამთავრობო შეიარაღებული აქციის მონაწილენი. ოფიციალური კომუნიკეს თანახმად, ისინი აპირებდნენ ტოგოს პრეზიდენტის მოკვლას და სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას.

◆ **პარარე.** 11 აფრიკელი მეშახტე დაიღუპა და 70-ზე მეტი დაშავდა ეთნიკურ ჯგუფებს შორის შეტაკებათა შედეგად, **რომელიც პრეზიდენტ სტენის სახელობის ოქროს მაღაროში მოხდა. კომპანია „ანგლო-ამერიკენის“ წარმომადგენელმა, რომელსაც მაღარო ეკუთვნის, ცინიკურად განაცხადა, რომ „მთელი პასუხისმგებლობა უწესრიგობისათვის ტერორისტებს ეკისრებათო“.**

დეზინფორმაციის კამპანიის აღსაკვეთად

სირიის მოწოდება ტერორიზმისადმი მიძღვნილი კონფერენციის მოწვევის შესახებ

ნიუ-იორკი. სირიამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მოუწოდა მოიწვიოს თავისი ეგიდით ტერორიზმის განსაზღვრის საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია და შექმნას მის მოსაყოფად წარმომადგენლობითი მოსამზადებელი კომიტეტი. ამ მოწოდებას შეიცავს სირიის საგარეო საქმეთა მინისტრის წერილი, რომელიც ოთხშაბათს გადასცა ამ ქვეყნის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

ასეთი კონფერენციის მოწვევა, ნათქვამია წერილში, გამოწვეულია ტერორიზმთან ბრძოლისა და იმპერიალიზმისა და რასიზმის ძალების იმ ცდებისადმი წინააღმდეგობის საჭიროებით, რომ გააგივონ ტერორიზმი ხალხთა კანონიერ ბრძოლასთან, რათა გამოიყენონ „ტერორიზმთან ბრძოლის“ საბაბი იმ სუვერენულ სახელმწიფოთა საწინააღმდეგო აგრესიისათვის, რომლებიც მათ ზემოქმედებას არ ეპუებიან. ეს სერიოზულ საფრთხეს უქმნის საერთაშორისო ურთიერთობას და ქმნის ძალის შეუზღუდავი გამოყენების წინამძღვრებს, საერთაშორისო სამართლის პრინციპების, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დებულებებისა და მისი რეზოლუციების მიუხედავად, იწვევს საერთაშორისო ტერორის გავრცელებას, დაძაბულობის გაძლიერებას, საფრთხეს უქმადის საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას.

სირიამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყურადღება მიაპყრო იმას, რომ ბოლო ხანს საერთაშორისო ასპარეზზე გაჩაღებულმა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობებისა და მათი მხარდამჭერი სახელმწიფოების წინააღმდეგ მიმართულმა დეზინფორმაციის კამპანიამ ისეთ მასშტაბს მიაღწია, რომ იმპერიალისტური და რასისტული წრეები მეკობრეობასა და სახელმწიფო ტერორიზმს უკვე „კანონიერი თავდაცვის აქტებად“ ასაღებენ. დედამიწის ხალხებს კი სახელმწიფო ტერორიზმი ტერორიზმის ყველაზე უარეს და საშიშ სახეობად მიაჩნიათ.

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲢᲘᲟᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ.

ᲡᲐᲐᲒᲐᲠᲘᲝ ᲞᲠᲝᲤᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲣᲚᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲡᲙᲕᲔᲗᲘᲗᲕᲘᲗ

ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲘᲡ ᲠᲘᲢᲛᲘᲗ

ᲜᲐᲠᲙᲝᲢᲘᲙᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

მომავლის საძირკველი

დღეს თბილისში იხსნება საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების VII ყრილობა. ამასთან დაკავშირებით გთავაზობთ საზოგადოების თავმჯდომარის პირველი მოადგილის ᲖᲘᲕᲘ ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ნაუბარს „ᲫᲚᲘᲐᲜᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ“ კორესპონდენტთან.



ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობაზე საგანგებოდ ითქვა, რომ პარტიას თავისი კულტურული პოლიტიკის მთავარ ამოცანად მიაჩნია გადაუშალოს ადამიანებს შემოქმედებითი ნიჭის გამოვლინის უფრთოფესი ასპარეზი, სულიერად მდიდარი და მრავალფეროვანი გახადოს მათი ცხოვრება.

თანამედროვე მსოფლიოს მრავალ სატკივრთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია კულტურული გარემოს შენარჩუნების საკითხი. ადამიანის ცხოვრებისათვის, მისი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვან როლ ასრულებს ის კულტურული გარემო, რომელშიც მას უხდება არსებობა.

ქართველი კაცისათვის სვეტიცხოველი, ბაგრატი, გელათი, იყალთო, 800 წლის ვარძია მარტო არქიტექტურული ძეგლები არ არის. ეს ჩვენი წარსულის ნაწილია, რომელიც საშუალებას გვაძლევდა და გვაძლევს მყარად ვიდგეთ მიწაზე, მათ მიმართ დამოკიდებულებაში ვლინდება პიროვნების პასუხისმგებლობა სამშობლოს ისტორიული ბედისათვის.

ეს ძეგლები ქართველი ხალხის მიერ განვლილი გზის ყველაზე ᲛᲔᲛᲨᲐᲠᲘᲢᲘ მოწმეები არიან, ეროვნული ენერგიისა და ხალხის ნიჭის დიდ გამოვლინებას წარმოადგენენ.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოში (პირველად საბჭოთა კავშირში) 1959 წელს შეიქმნა ძეგლთა დაცვის ნებაყოფლობითი საზოგადოება, 1978 წელს კი ჩამოყალიბდა ძეგლთა დაცვის მთავარი სამეცნიერო საწარმოო სამმართველო,. რომელმაც ბევრი რამ გააკეთა ძეგლების გამოვლინების და დაცვის საქმეში, მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფოს მიერ სარესტავრაციოდ გამოყოფილი თანხები. წლიურად იგი 2,5 მილიონ მანეთს შეადგენს, რის შედეგადაც სათანადოდ გაიზარდა სარესტავრაციო სამუშაოთა მოცულობაც.

გაიზარდა საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების შესაძლებლობები და მოვალეობანიც.

საზოგადოების წევრები ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის რესტავრაციის საქმეში საგრძნობია. თუმცა სარესტავრაციო სამუშაოთა წარმოება რთული სფეროა და ამ საქმეში გვაქვს გადაუწყვეტი ამოცანები. ესენია: მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა ნაკლებობა, სუსტი მატერიალური ბაზა, ძეგლების მდგომარეობა უგზო, ძნელად მისასვლელ ადგილებში... ყოველივე ეს რთული პრობლემების წინაშე აყენებს რესტავრატორებს, მაგრამ როცა უხარისხო კრამიტით გადახურული ძეგლი ზიანდება და ეს ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უძველესი ძეგლი ბოლნისის სიონია, დამეთანხმებით, ლაპარაკი რაიმე ობიექტურ ხელისშემშლელ მიზეზებზე უადგილო იქნება და თავის გამართლებაც გძნელდება.

სარესტავრაციო სამუშაოები ჭიანურდება, ზოგიერთი ძეგლი წლობით ხარაჩოებშია ჩამჯდარი, ᲐᲮᲘᲢᲘᲗ მიგვაჩნია, რომ საზოგადოებამ მეტი კონტროლი უნდა გაუწიოს სარესტავრაციო სამუშაოებს. ალბათ მიზანშეწონილი იქნება, არ გავფანტოთ სახსრები მრავალ ობიექტზე, არა გგონია, ეს საჭირო ეფექტს იძლეოდეს. საჭიროა საზოგადოების სახსრების უფრო ყაირათიანი ხარჯვა.

ასევე მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ სარესტავრაციო გეგმების შედგენაში საზოგადოება მეტ ყურადღებას უთმობდეს ისტორიული ძეგლების, მემორიალური სახლების რესტავრაციის საკითხს.

რაკი რესტავრაციას შევეხეთ, არ შეიძლება არ ითქვას, რომ აქ სხვა პრობლემებიცაა გადასაწყვეტი. გარდა სარესტავრაციო ვადების გაჭიანურებისა, 'გაუმართლებლად მიგვაჩნია ისიც, რომ საზოგადოება რესტავრაციის დამთავრების შემდეგ კონტროლს არ უწევს მისივე სახსრებით აღდგენილ ძეგლს, უფრო მიზანშეწონილი კი იქნებოდა, ძეგლისთვის რესტავრაციის შემდგომაც საზოგადოებას ეპატრონა, მოეწყო სახალხო უნივერსიტეტები, მუზეუმები, საგამოფენო დარბაზები. ძეგლების შემდგომი გამოყენების საკითხი მეტად მნიშვნელოვანი და, მე ვიტყოდი, მწვავე საკითხია.

ბოლო წლებში ბევრი კეთილი სიტყვა ითქვა ქალაქების ძველი უბნების განახლება-აღდგენაზე. თბილისის, სიღნაღის, ქუთაისის და სხვა ქალაქების ისტორიული უბნების წარმოჩენისათვის რესტავრატორებმა დიდი შრომა გასწიეს, მაგრამ არც ის არის დასამალი, რომ დღესასწაულისათვის ნაჩქარევად გაკეთებული, მომავალ თბილისობამდე ისევე აღსადგენი და შესაკეთებელი ხდება. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი უბნისა და სახლის რესტავრაცია სპეციალისტთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ერთი რამ ცხადია, ძველი ქალაქებისა და უბნების აღდგენისას, მათში ახალი არქიტექტურული შინაარსის შეტანისას, უნდა შევუნარჩუნოთ მათთვის ისტორიულად დამახასიათებელი ეერი.

აქვე მინდა შევეხო ისტორიული სოფლების დაცვის საკითხსაც. დიდი ძვრები, რომლებიც სოფლის მეურნეობაში ხდება სასურსათო პროგრამასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, სასოფლო მშენებლობის საქმეშიც იჩენს თავს. ისტორიულ სოფლებს ისეთივე გაფრთხილება სჭირდება, როგორც ისტორიული ქალაქების განაშენიანებას. უნდა გავითვალისწინოთ თითოეული რეგიონის, კონკრეტული სოფლის ცხოვრების თავისებურება, მისი ისტორია, ეროვნული ტრადიციები, ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის ამსახველი ნივთები, რომლებიც თანდათანობით ქრება. ალბა, ეს ისტორიაა, ამიტომ თითოეული სოფლის თავისებურების შენარჩუნება აუცილებელია, რათა თავიდან ავიცილოთ არა მარტო ქალაქში დამკვიდრებული, არამედ სოფლადაც ფეზმოკიდებული განაშენიანების ერთფეროვნება. არ უნდა დაირღვეს კავშირი ბუნებრივ ლანდშაფტსა და ნაგებობათა შორის, რისი გრძნობაც ასე კარგად ჰქონდათ განვითარებული ჩვენს წინაპრებს. ᲮᲨᲘᲠᲐᲓ აღუნიშნავთ, რომ ქართველი კაცი იშვიათი მხატვრული ინტუიციით აგნებდა ძეგლის აღმშენებლობის ადგილს, იმ ერთადერთ უსუტ დამაგვირგვინებელ წერტილს.

ეს ინტუიცია ზოგჯერ ღალატობთ თანამედროვე მშენებლებს. მაგალითად, საქართველოს სამხედრო გზაზე, მყინვარწვერის ფონზე აღმართული ძეგლის მახლობლად აშენებული სამაგირო გზის სადგური არა მარტო ამახინჯებს ხედს, არამედ კარგა ხანია არც მუშაობს.

მოგეხსენებათ, საქართველოს სამხედრო გზა ერთ-ერთი მთავარი ტურისტული მაგისტრალია და ალბათ მნახველთა თვალში XIV საუკუნის ძეგლის მახლობლად თანამედროვე მშენებელთა მიერ ნაგები სადგური, უგემოვნებისა და უყაირათობის ნიმუშად თუ გამოდგება.

რაკი ტურიზმი ვახსენეთ, ისიც უნდა ითქვას, რომ მომავალში ტურიზმის ქსელი უფრო გაფართოვდება, ჩნდება ახალი მარშრუტები. ამ საკითხით დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა მჭიდრო კონტაქტები უნდა იქონიონ ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოსთან და საზოგადოებასთან, რათა მნახველებს უფრო სრული წარმოდგენა შეექმნათ ჩვენი ერის კულტურულ მიღწევებზე. ამისათვის კი კარგად გააზრებული და, რაც მთავარია, კარგად ორგანიზებული მუშაობა გვმართებს. საქმე ეხება არა მარტო არსებული გზების კეთილმოწყობას და ახალი მისასვლელი გზების გაყვანას, არამედ ტურისტული მარშრუტების მახლობლად მდებარე ძეგლების განსაკუთრებულ მოვლა-დაცვას და მის გარშემო ტერიტორიის კეთილმოწყობას. ჯერ კიდევ მოსაგვარებელია უშუალოდ ძეგლებთან სუვენირების, სათანადო ლიტერატურისა და ფოტო-ხედების გაყიდვის საკითხი, რომელთა შეძენის სურვილი მნახველს ძეგლის დათვალიერებისას უჩნდება.

დღემდე გადაუწყვეტ პრობლემად რჩება ეროვნული ქართული სუვენირების დამზადების საკითხი. მათზე მოთხოვნილება კი სულ უფრო მატულობს. სამწუხაროდ, არ გაგვაჩნია ლამაზი, დასამახსოვრებელი და, რაც უმნიშვნელო არ არის, შედარებით იაფი სუვენირი.

ამ მიმართულებით უნდა წარიმართოს საზოგადოების საქმიანობა, რათა უახლოეს დროში დამზადდეს მაღალმხატვრული სასუვენირო ნაწარმი, რაც დღეკანდელი დროის მოთხოვნაა.

მოგეხსენებათ, ქართული კულტურის პროპაგანდის საუკეთესო საშუალებაა ბუკლეტების, გზამკვლევების, პლაკატების გამოცემა, რომელთა ნაკლებობასაც ასე მწვავედ განვიცდით. აუცილებელია ინდექსით გამოდიოდეს ჟურნალი „ძეგლის მეგობარი“. ვფიქრობთ, რომ საზოგადოების ხელმძღვანელობამ უნდა აღძრას საკუთარი პოლიგრაფიული ბაზის შექმნის საკითხი, რაც ხელს შეუწყობს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა პოპულარიზაციას.

დღეს განსაკუთრებით ნათელი ხდება, რომ ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲢᲣᲠᲘ კულტურის გარეშე, დედამიწაზე ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ იდეალების გაბატონების გარეშე კაცობრიობა ვერ აიცილებს თავიდან თერმობირთვული დაღუპვის საშიშროებას და ვერ მოხერხდება ადამიანთა საზოგადოების ნორმალური და ჰარმონიული განვითარება.

ამიტომ არის, რომ ჩვენი ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობა არასოდეს წაიშლება, არ გაფერმკრთალდება, პირიქით, ახლებურ ფერებსა და ძალას შეიძენს, რადგან იგი ჩვენი მომავლის საძირკველია.

ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲡᲐᲫᲘᲠᲙᲕᲔᲚᲘ

ᲫᲔᲚᲗᲐ კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობაზე საგანგებოდ ითქვა, რომ პარტიას თავისი კულტურული პოლიტიკის მთავარ ამოცანად მიაჩნია გადაუშალოს ადამიანებს შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენის უფრთოესი ასპარეზი, სულიერად მდიდარი და მრავალფეროვანი გახადოს მათი ცხოვრება.

თანამედროვე მსოფლიოს მრავალ სატკივრთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია კულტურული გარემოს შენარჩუნების საკითხი. ადამიანის ცხოვრებისათვის, მისი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვან როლ ასრულებს ის კულტურული გარემო, რომელშიც მას უხდება არსებობა.

ქართველი კაცისათვის სვეტიცხოველი, ბაგრატი, გელათი, იყალთო, 800 წლის ვარძია მარტო არქიტექტურული ძეგლები არ არის. ეს ჩვენი წარსულის ნაწილია, რომელიც საშუალებას გვაძლევდა და გვაძლევს მყარად ვიდგეთ მიწაზე, მათ მიმართ დამოკიდებულებაში ვლინდება პიროვნების პასუხისმგებლობა სამშობლოს ისტორიული ბედისათვის.

ეს ძეგლები ქართველი ხალხის მიერ განვლილი გზის ყველაზე ᲞᲔᲛᲨᲐᲠᲘᲢᲘ მოწმეები არიან, ეროვნული ენერგიისა და ხალხის ნიჭის დიდ გამოვლინებას წარმოადგენენ.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოში (პირველად საბჭოთა კავშირში) 1959 წელს შეიქმნა ძეგლთა დაცვის ნებაყოფლობითი საზოგადოება, 1978 წელს კი ჩამოყალიბდა ძეგლთა დაცვის მთავარი სამეცნიერო საწარმოო სამმართველო,. რომელმაც ბევრი რამ გააკეთა ძეგლების გამოვლინების და დაცვის საქმეში, მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფოს მიერ სარესტავრაციოდ გამოყოფილი თანხები. წლიურად იგი 2,5 მილიონ მანეთს შეადგენს, რის შედეგადაც სათანადოდ გაიზარდა სარესტავრაციო სამუშაოთა მოცულობაც.

გაიზარდა საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების შესაძლებლობები და მოვალეობანიც.

საზოგადოების წევრები ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის რესტავრაციის საქმეში საგრძნობია. თუმცა სარესტავრაციო სამუშაოთა წარმოება რთული სფეროა და ამ საქმეში გვაქვს გადაუწყვეტი ამოცანები. ესენია: მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა ნაკლებობა, სუსტი მატერიალური ბაზა, ძეგლების მდგომარეობა უგზო, ძნელად მისასვლელ ადგილებში... ყოველივე ეს რთული პრობლემების წინაშე აყენებს რესტავრატორებს, მაგრამ როცა უხარისხო კრამიტით გადახურული ძეგლი ზიანდება და ეს ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უძველესი ძეგლი ბოლნისის სიონია, დამეთანხმებით, ლაპარაკი რაიმე ობიექტურ ხელისშემშლელ მიზეზებზე უადგილო იქნება და თავის გამართლებაც გძნელდება.

სარესტავრაციო სამუშაოები ჭიანურდება, ზოგიერთი ძეგლი წლობით ხარაჩოებშია ჩამჯდარი, ᲐᲮᲘᲢᲘᲗ მიგვაჩნია, რომ საზოგადოებამ მეტი კონტროლი უნდა გაუწიოს სარესტავრაციო სამუშაოებს. ალბათ მიზანშეწონილი იქნება, არ გავფანტოთ სახსრები მრავალ ობიექტზე, არა გგონია, ეს საჭირო ეფექტს იძლეოდეს. საჭიროა საზოგადოების სახსრების უფრო ყაირათიანი ხარჯვა.

ასევე მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ სარესტავრაციო გეგმების შედგენაში საზოგადოება მეტ ყურადღებას უთმობდეს ისტორიული ძეგლების, მემორიალური სახლების რესტავრაციის საკითხს.

რაკი რესტავრაციას შევეხეთ, არ შეიძლება არ ითქვას, რომ აქ სხვა პრობლემებიცაა გადასაწყვეტი. გარდა სარესტავრაციო ვადების გაჭიანურებისა, 'გაუმართლებლად მიგვაჩნია ისიც, რომ საზოგადოება რესტავრაციის დამთავრების შემდეგ კონტროლს არ უწევს მისივე სახსრებით აღდგენილ ძეგლს, უფრო მიზანშეწონილი კი იქნებოდა, ძეგლისთვის რესტავრაციის შემდგომაც საზოგადოებას ეპატრონა, მოეწყო სახალხო უნივერსიტეტები, მუზეუმები, საგამოფენო დარბაზები. ძეგლების შემდგომი გამოყენების საკითხი მეტად მნიშვნელოვანი და, მე ვიტყოდი, მწვავე საკითხია.

ბოლო წლებში ბევრი კეთილი სიტყვა ითქვა ქალაქების ძველი უბნების განახლება-აღდგენაზე. თბილისის, სიღნაღის, ქუთაისის და სხვა ქალაქების ისტორიული უბნების წარმოჩენისათვის რესტავრატორებმა დიდი შრომა გასწიეს, მაგრამ არც ის არის დასამალი, რომ დღესასწაულისათვის ნაჩქარევად გაკეთებული, მომავალ თბილისობამდე ისევე აღსადგენი და შესაკეთებელი ხდება. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი უბნისა და სახლის რესტავრაცია სპეციალისტთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ერთი რამ ცხადია, ძველი ქალაქებისა და უბნების აღდგენისას, მათში ახალი არქიტექტურული შინაარსის შეტანისას, უნდა შევუნარჩუნოთ მათთვის ისტორიულად დამახასიათებელი ეერი.

აქვე მინდა შევეხო ისტორიული სოფლების დაცვის საკითხსაც. დიდი ძვრები, რომლებიც სოფლის მეურნეობაში ხდება სასურსათო პროგრამასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, სასოფლო მშენებლობის საქმეშიც იჩენს თავს. ისტორიულ სოფლებს ისეთივე გაფრ-





ᲛᲝᲕᲣᲐᲠᲝᲗ, ᲕᲣᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲗ

ᲫᲔᲚᲗᲐᲜᲘ დაცვა ჩვენი ისტორიის დაცვა და მომავალზე ზრუნვაა, ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებაში საშეფო მუშაობის ფართოდ გაშლას. ადრე ძეგლებზე შეფების მომაგრება ხდებოდა სიტყვიერად, სიობრივად. შემდგომ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲮᲐ მუშაობის ახალი ფორმა და შეფებს ძეგლებს გამოვუყოფთ ოფიციალური ხელშეკრულებით, რაშიც გაზარდა მათი პასუხისმგებლობა.

დღეისათვის რესპუბლიკაში 400-მდე შეფი ორგანიზაციაა. აქედან დედაქალაქზე მოდის სამიცი. მათი უმეტესობა დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება მოვალეობას. როგორ შეიძლება დიდი სიყვარულით და პატივისცემით არ მოვიხსენიოთ ის შეფები, წლების მანძილზე უანგაროდ რომ შრომობენ ძეგლებზე. ესენია პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიისა და გეოლოგიის ფაკულტეტები, თბილისის ელმავალმშენებელი ქარხანა, თბილისის მე-18 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელი, კიბერნეტიკის ინსტიტუტი, წყალსამეურნეო ობიექტების „მშენებლობის საქართველოს სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი „საქსაწყალპროექტი“, „ᲛᲝᲜᲐᲠᲘ“, სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი „საქქალაქმშენსაბპროექტი“, სტაბილური იზოტოპების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, მსუბუქი მრეწველობის საინსტრუმენტო რესპუბლიკური დარგობრივი გამოთვლითი ცენტრი, ბოტანიკის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის გამოთვლითი ცენტრი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნ. მუსხელიშვილის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი და სხვანი.

აღნიშნულმა შეფებმა ბევრი სასარგებლო საქმე გააკეთეს.

მოწინავე შეფებთან ერთად არიან სასაყვედურონიც. მაგალითად, საქართველოს ალკა საბურთალოს რაიკომი და ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭო ბოლნისის რაიონში მდებარე თეკდორეწმინდის ეკლესიას შეფობენ. მიუხედავად იმისა, რომ იქ მიმდინარეობს რესტავრაცია, ძეგლს არ ეკარებიან. ასევე ცუდად მუშაობენ ძეგლებზე მსუბუქი ტანსაცმლის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება № 3, ფილოსოფიის ინსტიტუტი, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, უნივერსიტეტის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტი, სამეცნიერო-ტექნიკური გაერთიანება „საქსაშენმასალები“ და ა. შ. თუ ასე გაგრძელდა მათ ჩამოერთმევათ ძეგლები, როგორც ჩამოერთვათ საქართველოს გეოლოგიის სამმართველოს, სსრკ 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანებას, ვირსალაძის სახელობის ხელოვნების სკოლას და სხვებს.

რაც შეეხება რესპუბლიკის რაიონებს, აქაც ბევრი მოწინავეა. ზოგთა შეფობა კი ფორმალურია, ყოველ რაიონში ძეგლების შეფობა, მათი მოვლა-პატრონობა დიდად არის დამოკიდებული ძეგლთა დაცვის რაიონული საბჭოს საქმიანობაზე. ამ მხრივ შედარებით გამოირჩევიან ზუგდიდის (ძეგლთა დაცვის საზოგადოების რაიონული საბჭოს თავმჯდომარე — აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე შ. ქობალია), წალენჯიხის (თავმჯდომარე—რაიაღმასკომის კინოფიკაციის განყოფილების გამგე შ. ლუკავა), თელავის (თავმჯდომარე — კულტურის განყოფილების გამგე ა. ქეშაშვილი), ასპინძის (თავმჯდომარე — ასპინძის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე რ. ბერიძე), თეთრი წყაროს (თავმჯდომარე—კულტურის განყოფილების გამგე ლ. ღაღუთაშვილი), კასპის (თავმჯდომარე — რაიკომის პირველი მდივანი ჯ. ჯავახიშვილი), მახარაძის (თავმჯდომარე — რაიკომის მდივანი რ. ბერაძე), მესტიის (თავმჯდომარე — რაიაღმასკომის საგეგმო განყოფილების გამგე ჯ. ფილფანი), ქუთაისის (თავმჯდომარე — მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი ი. გვეტაძე) საქალაქო და რაიონული საბჭოები.

მომავალში გათვალისწინებული გვაქვს რაიონებში არსებული ყველა ძეგლის შეფობა გაფორმდეს ოფიციალური ხელშეკრულებებით, მოეწყოს მათი მოვლა-დაცვისათვის შეჯიბრება-კონკურსი.

ერთი სიტყვით, არცერთი ძეგლი არ უნდა დარჩეს უყურადღებოდ, რათა ისინი შემოვუნახოთ მომავალ თაობებს.

ᲯᲐᲜᲐ ᲙᲔᲜᲭᲝᲨᲕᲘᲚᲘ,
საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის მასობრივი მუშაობის განყოფილების უფროსი.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲞᲝᲠᲢᲘᲢᲐ

ᲡᲘᲜᲥᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲪᲣᲠᲐᲗᲐ. სვერდლოვსკში მიმდინარე საკავშირო თასის გათამაშებაზე 74 მონაწილეს შორის სავალდებულო პროგრამა ყველაზე უკეთ შეასრულა თბილისელმა 18 წლის სპორტსმენმა **ᲔᲚᲔᲜᲔ ᲨᲐᲛᲘᲐᲕᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ**, მან 76,82 ქულა დააგროვა და მეტოქეები უკან ჩამოიტოვა. შეჯიბრება გრძელდება.

ᲤᲘᲤᲐᲜᲣᲠᲘ. ლანჩხუთის „ᲒᲣᲠᲘᲐ“, რომელიც ამხანაგური მატჩების გასამართავად იმყოფება ალეპოში, შეხვდა ადგილობრივ გუნდს და გაიმარჯვა ანგარიშით 2:1.

ᲤᲐᲠᲘᲙᲐᲝᲑᲐ. რიგაში დაიწყო სსრ კავშირის თასის გათამაშება. რაპირისტ ვაჟებს შორის უკვე გამოვლინდნენ პრიზიორები. ამ სახეობაში უძლიერესის წოდებას დაეუფლა ლენინგრადელი ა. კლიუშინი. მეორე ადგილზე გამოვიდა მოსკოველი ბ. სოლოვიოვი, მესამეზე — რუსეთის ფერედაციის წარმომადგენელი ა. იბრაგიმოვი. თბილისელი **Ვ. ᲐᲤᲪᲘᲐᲣᲠᲘ** მეხუთე იყო.

ᲞᲝᲚᲝᲕᲘ. მოსკოვში გრძელდება XX საერთაშორისო შეჯიბრება გაზეთ „იზვესტიის“ პრიზზე. ასპარეზობის მესამე დღეს გაიმართა ერთი მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ ფინელები და ჩეხოსლოვაკიელები. მატჩი [illegible] ფრედ — 5:5. [illegible] ᲢᲣᲠᲘᲡᲐ წინ ფინელებ [illegible] ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ [illegible] კანადისა და შვეიცის გუნდებს, 1 — ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს.

ᲑᲘᲐᲗᲚᲝᲜᲘ. მსოფლიო თასის გათამაშების პირველი ეტაპის პირველ სახეობაში (20 კმ-ზე რბოლა) შეჯიბრება გაიმართა ავსტრიის ქალაქ ობერტაუერნში. აქ უძლიერესი იყო მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, უსტინოველი ვ. მედვედცევი. დისტანცია მან 1 საათში, 10 წუთსა და 04,0 წამში გაიარა.

ᲕᲐᲫᲠᲐᲙᲘ. ბრიუსელში გრძელდება ორწრიანი შეჯიბრება 6 დიდოსტატს შორის. მეექვსე ტურში კასპაროვმა მე-18 სვლაზე დაამარცხა ნანი, შორტმა მოუგო პორტიშს. 6 ტურის. შემდეგ 4,5 ქულით ლიდერობს კასპაროვი. შორტი 4 ქულით მეორე ადგილზეა.

ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ქალაქ ჰილვერსიუმში იუსუპოვისა და ტიმანის მატჩის მეოთხე პარტიაც ყაიმით დასრულდა. ჯერჯერობით ანგარიშია 2:2.

ᲙᲐᲚᲔᲘᲓᲝᲡᲙᲝᲞᲘ

ᲓᲐᲫᲛᲝᲑᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘ ქალაქების— პეტროზავოდსკისა და ნოიბრანდენბურგის (გდრ) ახალგაზრდა მოკრივეთა ტურნირზე გერმანელმა სტუმრებმა მოაწყვეს რობოტი-მოკრივის საჩვენებელი გამოსვლა. ამ რობოტს, რომელიც დრეზდენის სპეციალური სპორტული ტექნიკის კომბინატში დამზადეს, ძალაში, ამტანობასა და ტექნიკურ მომზადებაში ადამიანი მართლაც ვერ შეედრება. ეს განსაკვირიც არ არის, ვინაიდან კონსტრუქტორებმა შეძლეს მისი საუცხოოდ დაპროგრამება. საკმარისია ითქვას, რომ რობოტს შეუძლია „ორთაბრძოლის“ დროს შეტევის ასამდე სხვადასხვა ვარიანტს მიმართოს, გარდა ამისა, მას შეუძლია პირდაპირი თუ სხვადასხვა მხრიდან ზუსტი, ძლიერი და სწრაფი დარტყმების შესრულება. ამ მექანიკური მეტოქის შემქმნელებმა ისიც გაითვალისწინეს, რომ მისი დარტყმები ადამიანისათვის სახიფათო არ იყოს.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘᲡ ფედერაციულ რესპუბლიკაში გამოცხადდა სპორტულ ეუონნალისტთა რეფერენდუმის შედეგები. 1986 წლის სეზონის მიხედვით ამ ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენად აღიარებულია 19 წლის ჩოგბურთელი, ორგზის უიმბლდონის ჩემპიონი ბორის ბეკერი (3099 ქულა). მეორე ადგილზე გამოვიდა ცურვაში ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი მიხაელ გროსი (2082). ქალთა შორის საუკეთესოდ აღიარეს 17 წლის ჩოგბურთელი შტეფი გრაფი (2074). გუნდებს შორის უპირატესობა მიენიჭა მოფარიკავე რაპირისტთა ნაკრებს, რომელმაც 1986 წელს მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოიპოვა. ეუონნალისტებმა მხოლოდ მეორე ადგილი მიაკუთვნეს ფეხბურთელთა ნაკრებს, რომელმაც მექსიკის ჩემპიონატზე მეორე სპარიზო ადგილი დაიკავა.

რედაქტორის მოადგილე
Დ. ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ.

ᲒᲘᲜᲬᲔᲕᲗ ᲑᲐᲖᲠᲝᲑᲐᲖᲔ

ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ წლის 20-21 დეკემბრიდან ქსნის საცალო ბაზრობა გადმოტანილი იქნება მცხეთის თეატრონის ტერიტორიაზე.

ბაზრობა გაგრძელდება მთელი ზამთრის მანძილზე დახურულ პავილიონებში.

ცეკავშირი შემოგთავაზებთ სამამულო და იმპორტული საქონლის ფართო ასორტიმენტს.

მობრძანდით ბაზრობაზე! ვიმედოვნებთ, კმაყოფილი დარჩებით ნაკაჭრით.

ᲪᲔᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ.

ᲪᲘᲡᲤᲔᲠ ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲐᲠᲮᲘᲡᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 22 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.10 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ზღვაური“. 11.00 — მხატვრული ფილმი „ᲒᲔᲘᲛᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲛᲘᲓᲘᲐᲜ“. 12.10 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ᲪᲘᲪᲚᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ“. 13.00 — მასწავლებლის საათი. ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები. 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 13.45 — სატელევიზიო სამსერიანი მხატვრული ფილმი „ᲣᲙᲐᲜ ᲓᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ ᲒᲖᲐ ᲛᲝᲭᲠᲘᲚᲘᲐᲜ“. I და II სერია. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — მოსწავლეთათვის. რუსული ენა. 16.45 — საქართველოს ისტორია. 17.25 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ᲡᲐᲛᲨᲝᲜᲚᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘᲐᲜ“. 17.55 — პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის. „ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲗᲘ, ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲗᲐᲜᲓᲐᲐ“ (განმეორებით). 18.25 — „ᲤᲐᲜᲢᲐᲨᲘᲐ და მარჯვე ხელები“ (გადაცემა ხელმარჯვე ბავშვებისათვის). 18.55 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე. 19.15 — სახელმწიფო მიღება: ხარისხის პრობლემა (მ.). 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მოამბე. 20.35 — „ᲬᲧᲠᲔᲚᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ“. (კულტურულ-საგანმანათლ ებლო კერები ლაგოდეხში). 21.05 — მუსიკალური სპექტაკლების სცენები. 22.00 — „ᲕᲠᲔᲛᲘᲐ“. 22.40 — ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის ახალგაზრდების შეხვედრა ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატთან თამარ გვერდწითელთან (განმეორებით).

მეორე პროგრამა. 16.35 — მხატვრული ფილმი „ᲛᲔᲢᲝᲠᲘᲠᲔᲓᲔᲑᲘ“. 18.05 — განცხადებები. 18.10 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 18.30 — ჩვენს დიალ სამშობლოში. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ᲙᲝᲯᲐᲜᲓᲘ“.

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 23 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.10 — „მოგზაურთა კლუბი“ (მ.). 11.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „ᲣᲠᲡᲘᲡᲛᲘᲯᲐᲚᲘ“ და „20 წლის შემდეგ“. 12.00 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე (განმეორებით). 12.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ᲡᲐᲒᲠᲔᲓᲚᲘᲡ წერტილი“. 12.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ᲙᲐᲮᲘᲨᲕᲠᲘᲡ ᲕᲔᲚᲘ“. 13.00 —